

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მერი კეთილაძე

მოვალის რეაბილიტაცია „რეაბილიტაციისა და
კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის
თავისებურებების გათვალისწინებით

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი - როინ მიგრიაული

სამართლის დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სამართლის ასოცირებული პროფესორი.

თბილისი 2020

სარჩევი

ანოტაცია.....	4
შესავალი.....	9
თავი პირველი - რეაბილიტაციის ისტორიული მიმოხილვა და მნიშვნელობა	14
1.1. რეაბილიტაციის ისტორიული მიმოხილვა	14
1.2. რეაბილიტაციის მნიშვნელობა	17
თავი მეორე - რეფორმის მიზანი და რეაბილიტაციის ცნება.....	18
2.1. რეფორმის მიზანი.....	18
2.2. რეაბილიტაციის ცნება	19
თავი მესამე - რეაბილიტაციის პროცესის განხილვა (კანონპროექტის - გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონთან მიმართებაში)	22
3.1 რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყება	22
3.2. რეაბილიტაციის გეგმის პროექტი და მისი წარდგენა	23
3.2.1. რეაბილიტაციის გეგმის პროექტი	23
3.2.2. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის წარდგენა	26
3.3. რეაბილიტაციის გეგმის მოწონება კრედიტორთა მიერ.....	27
3.3.1 რეაბილიტაციის გეგმის პროექტის კენჭისყრა	30
3.3.2 სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების დაუშვებლობა	32
3.4. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის უარყოფა.....	34
3.5. რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების შედეგები	35
3.6. დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის გაუქმება და მასში ცვლილების შეტანა.....	37
3.6.1. რეაბილიტაციის გეგმის ცვლილება.....	37
3.6.2. რეაბილიტაციის გეგმის გაუქმება	38

თავი მეოთხე	39
<i>მმართველობა რეაბილიტაციის რეჟიმში</i>	<i>39</i>
4.1. რეაბილიტაციის მმართველი	39
4.1.1. კრიტერიუმები, რომლებსაც რეაბილიტაციის მმართველი უნდა აკმაყოფილებდეს	40
4.1.2. რეაბილიტაციის მმართველის უფლება-მოვალეობები	41
4.2. მოვალე მართვაში	43
4.3. რეაბილიტაციის ზედამხედველი	48
4.4. დირექტორი	50
თავი მეხუთე	55
<i>კრედიტორთა კომიტეტი რეაბილიტაციის რეჟიმში</i>	<i>55</i>
5.1. კრედიტორთა კომიტეტი	55
5.1.1. კრედიტორთა კომიტეტის შექმნა	56
5.1.2. კრედიტორთა კომიტეტის შექმნის ვალდებულება	57
5.1.3. კრედიტორთა კომიტეტის ინიცირება	57
5.1.4. კრედიტორთა კომიტეტის მიუკერძოებლობა	58
5.1.5. პირები, რომელთა არჩევა კრედიტორთა კომიტეტში არ შეიძლება	59
5.1.6. კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარე	59
5.1.7. კრედიტორთა კომიტეტის უფლებამოსილებები	60
5.1.8. კრედიტორთა კომიტეტის ვალდებულებები	61
5.1.9. კრედიტორთა კომიტეტის ანაზღაურება და ხარჯები	61
5.1.10. კრედიტორთა კომიტეტის წევრის გამოწვევა	62
5.2. კრედიტორთა კომიტეტის წევრთა პასუხისმგებლობა	63
დასკვნა	65
ბიბლიოგრაფია	69

მოვალის რეაბილიტაცია „რეაბილიტაციისა და
კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის
თავისებურებების გათვალისწინებით

მერი კეთილაძე

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია იმ მიზნით, რათა ჩემ მიერ შესწავლილი და გაზიარებული იქნას საზოგადოებისთვის (ესენი იქნებიან საკითხით დაინტერესებული სტუდენტები, დარგის სპეციალისტები თუ პრაქტიკოსები) ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სამაგისტრო ნაშრომის თემასთან და რომლებიც შეეხება რეაბილიტაციის ინსტიტუტს ახალი კანონპროექტის გადასახედიდან.

გარდა იმისა, რომ დაინტერესებული ვარ საკორპორაციო სამართლით, აღნიშნულმა თემამ ჩემი დაინტერესება გამოიწვია იმდენად, რამდენადაც ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი მთელი რიგი სიახლეები, რომლებიც რეაბილიტაციის ინსტიტუტთან არის დაკავშირებული.

კანონპროექტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სიახლეები გარკვეულ საკითხებზე, რომლებიც რეაბილიტაციასაც ეხება, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული ერთი საწარმოს არსებობის შენარჩუნებისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისთვის. იმისათვის რომ საწარმომ არსებობა განაგრძოს, ხოლო ქვეყნის ეკონომიკა არსებულ საფეხურზე არ დარჩეს და მნიშვნელოვნად განვითარდეს, საჭირო იყო აღნიშნულ საკითხზე საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა და მკაფიო კოდიფიცირება. შესაბამისად, კანონპროექტის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს საწარმოსთვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რათა არ მოხდეს მისი სამოქალაქო

ბრუნვიდან ამოღება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამოშლა.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს რეაბილიტაციის განხილვის, მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების შესწავლის, წინამდებარე რეაბილიტაციის ნორმებთან შედარებისა და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვის საფუძველზე იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტურად მოაწესრიგებს რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტი, რამდენად მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული კანონპროექტის კანონად ქცევა და იქნება თუ არა გამართლებული ის მოლოდინი, რაც მის მიმართ არსებობს.

Rehabilitation of the debtor taking into account the peculiarities of the draft law on “Rehabilitation and Satisfaction of Creditors”

Meri Ketiladze

Annotation

The master's thesis is presented in order the important issues related to the topic of the master's thesis, regarding the institution of rehabilitation from the perspective of the new draft law, to be studied and shared with the public (including students interested in the issue, specialists or practitioners in the field).

In addition to being interested in corporate law, this topic has caused my interest to the extent that a wide range of news related to the Rehabilitation Institute is not known to the general public.

Significant news stipulated by the draft law on certain issues related to rehabilitation is important not only for the maintenance of the existence of one particular enterprise but also for the economy of the country as a whole. For the purpose the enterprise to continue to exist and the economy of the country not to remain at the current level but to develop significantly, it was necessary to create a legislative framework for this issue and make its distinct codification. Accordingly, one of the main objectives of the draft law is to maintain the viability of the enterprise so that it is not removed from the civil circulation and the register of entrepreneurs and non-entrepreneurial legal entities.

In accordance with the mentioned above, the aim of the master's thesis is to determine how effectively the draft law on "Rehabilitation and Satisfaction of Creditors" will regulate the issues related to rehabilitation, the expediency of turning the draft law into the law and whether the draft law meets the expectations or not, based on reviewing the rehabilitation, studying the legislative news related to it, making comparison with the current rehabilitation norms and discussion about its advantages and disadvantages.

ნაშრომში გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხა

გვ - გვერდი

იხ - იხილეთ

სხვ - სხვა

მაგ - მაგალითად

მომდ - მომდევნო

გადკა - „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007 წ. კანონი

გაწკა - „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996 წ. კანონი

სასაკვო - „სამოქალაქო საპროცესო“ კოდექსი

შესავალი

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მრავალწლიანმა არსებობამ და მისმა პრაქტიკაში ინტენსიურმა გამოყენებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული კუთხით. ცოდნის გაღრმავებამ საკანონმდებლო სივრცე დააყენა ახალი საჭიროებების წინაშე, რასაც შედეგად მოჰყვა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის შექმნა, რომელიც საქართველოს პარლამენტის თაროზე არის მოთავსებული და პარლამენტის წევრთა გადაწყვეტილებას ელოდება, რათა არა მხოლოდ საწარმოს რეაბილიტაციის ნორმების, არამედ მთლიანად გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ „კანონის რეაბილიტაციის“ დამტკიცება მოხდეს მათ მიერ.

აღნიშნული კანონპროექტის კანონად ქცევა მნიშვნელოვანია როგორც სამართლის, ასევე, სხვა დარგებისათვის მაგ. ბიზნესისათვის. მსოფლიოს გარშემო არ მოიძებნება ქვეყანა რომლისთვისაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად ბიზნესის განვითარება და მისი წინა პლანზე წამოწევა არ განიხილება. ამისათვის კი სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები უამრავ დროს, რესურსსა და ფულს ხარჯავენ. არ შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ გაწეული შრომა ფუჭია ან/და უარყოფითან მოქმედებს საწარმოებზე, ვინაიდან მნიშვნელოვანია მათი წვლილი. თუმცა ვფიქრობ, ყოველივე ამას წინ უნდა უძღვოდეს შესაბამისი კანონი სწორი სამართლებრივი ნორმებით, რათა საწარმო გადახდისუნარობამდე, არ მივიდეს და მათ მიერ გაწეული ხარჯი გამართლებული აღმოჩნდეს.

ჩვენი ქვეყანაც ცდილობს მსოფლიო ეკონომიკურ პულსს არ ჩამორჩეს და 2019-2020 წლის სამთავრობო პროგრამაში პირველ ადგილზე მყოფი უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების შემდეგ, საპატიო მეორე ადგილს იკავებს ეკონომიკის განვითარება.¹ ხოლო რაც შეეხება

¹ საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის. თბილისი. 2019წ.

საქართველოს კონსტიტუციას, ის გარანტია იმისა, რომ სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულია სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.²

რადგანაც საწარმოების წარმატება პირდაპირ პროპორციულად უდრის წარმატებულ ქვეყანას, ჩვენს ქვეყანაში არსებულმა სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელმა თითოეულმა შტომ საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე ხელი უნდა შეუწყოს კანონშემოქმედების განვითარებას, ნორმების პრაქტიკაში სწორად ინტერპრეტირებას, ბიზნესის კეთილდღეობისათვის ყველა სახის რესურსის მაქსიმალურ გამოყენებასა და სხვ. სწორედ, აღნიშნულის უზრუნველყოფას ემსახურება მთავრობის მიერ შემუშავებული კანონი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, სადაც მკაფიოდ არის აღწერილი სახელმწიფოს განვითარებისათვის პრიორიტეტული პროგრამები. პრიორიტეტულ რიგებს მიეკუთვნება გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურების დასახვეწად განხორციელება გადახდისუუნარობის სისტემის რეფორმა. გაჩნდება მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისათვის, მეტი გარანტია კრედიტორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;“³ ფაქტობრივად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის შექმნა რეფორმის განხორციელებისათვის უდიდესი წინ გადაგმული ნაბიჯია.

2014 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც რიგ უფლებებსა და ვალდებულებებთან ერთად ქართული სამართლის დაახლოებას გულისხმობს, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ მიზანს

² იხ. „საქართველოს კონსტიტუცია“. მ.5.3.

³ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 15.5 გვ.109.

წარმოადგენს საქართველოს მხარდაჭერა, რათა მისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება მოხდეს.⁴ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონის მიღების ვალდებულება ასოცირების შეთანხმებიდან არ გამომდინარეობს, თუმცა დირექტივებს არ ეწინააღმდეგება. ეს ყოველივე ძალზედ მნიშვნელოვანია და დადებითად აისახება, რადგანაც შესაძლებელია პარტნიორი 28 ქვეყნის და არა მხოლოდ მათი, ფინანსური და ბიზნეს ინტერესების გავრცელება მოხდეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამისათვის კი გამართული, სწორი და სამართლიანი კანონმდებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველო მსოფლიო ბანკის „Doing Business 2019-ის“ რეიტინგში ყოველწლიურად წინაურდება და 2019 წლის მდგომარეობით მე-6 ადგილს იკავებს. ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნულ რეიტინგში ჩამოიტოვა მსოფლიოში ისეთი წამყვანი სახელმწიფოები როგორებიცაა: ნორვეგია, აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვა.⁵ აღნიშნული რეიტინგის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კომპონენტი არის „ბიზნესის დახურვა“ - რომელშიც ჩვენს ქვეყანას შემაშფოთებელი შედეგი აქვს. ამ კომპონენტში საქართველოს სარეიტინგო ქულა 60 არის, რაც ძალიან მაღალია. ვფიქრობ, კანონპროექტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მის შემცირებაში და ის უზრუნველყოფს ქვეყნის მეტად დაწინაურებას.

თემის აქტუალობა. აღნიშნული კანონპროექტის საყოველთაო მნიშვნელობამ გამოიწვია ჩემს მიერ სამაგისტრო ნაშრომის თემად არჩეული ყოფილიყო „მოვალის რეაბილიტაცია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის თავისებურებების გათვალისწინებით“. მას შემდეგ რაც პროექტი კანონად იქცევა, ის გამოიწვევს სამართლისა და ბიზნეს წრეების დაინტერესებას, დაიწყება განხილვა მის

⁴ ასოცირების შეთანხმება.მ.1.2 გ.

⁵ <https://mof.ge/News/8726>.

დადებით და უარყოფით მხარეებზე და იმაზეც, სჯობს თუ არა ინტერპრეტირებული ნორმები წინამორბედს, ან რამდენად დადებითად აისახება საკანონმდებლო სიახლეები როგორც სამართალზე, კერძოდ კი რეაბილიტაციზე, ისე ბიზნესზე. სწორედ ამიტომ, სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა განპირობებული არის კანონის სიახლითა და მისდამი დიდი ინტერესით.

ნაშრომის მიზნები. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დადგენილ იქნას

- ⇒ რეაბილიტაციის არსი
- ⇒ რეაბილიტაციის მნიშვნელობა
- ⇒ რეაბილიტაციის პროცედურები
- ⇒ რამდენად უზრუნველყოფს კანონპროექტი რეაბილიტაციის ნორმების სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებას
- ⇒ რამდენად უზრუნველყოფს კანონპროექტი კანონის შეცდომების აღმოფხვრას
- ⇒ რამდენად პრაქტიკული იქნება კანონპროექტი არსებული პრობლემების გადასაჭრელად
- ⇒ უზრუნველყოფს თუ არა კანონპროექტი საერთაშორისო სტანდარტის დამკვიდრებას

კვლევის ამოცანები. წინამდებარე ნაშრომის ამოცანებს წარმოადგენს

- ⇒ რეაბილიტაციის ინსტიტუტის შესწავლა
- ⇒ მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების შესწავლა და განხილვა

- ⇒ წინამდებარე რეაბილიტაციის ნორმებთან შედარება
- ⇒ კანონპროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა
- ⇒ კანონპროექტის ეფექტიანობის შეფასება
- ⇒ რამდენად უზრუნველყოფს კანონპროექტით გათვალისწინებული რეაბილიტაციის პროცესის ნორმები მხარეთა თანასწორობას
- ⇒ რამდენად დადებითად აისახება პროცესზე ის სიახლეები, რომლებსაც კანონპროექტი გვთავაზობს
- ⇒ არის თუ არა რეაბილიტაციის პროცედურები გამარტივებული

საკვლევი კითხვა: როგორ წესრიგდება რეაბილიტაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით.

საკვლევი ჰიპოთეზა: „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტი „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონისგან განსხვავებულ ნორმებს გვთავაზობს, შესაბამისად თემის ჰიპოთეზა შემდეგი სახისაა, უზრუნველყოფს თუ არა კანონპროექტი იმ მიზნების მიღწევას, რამაც მისი არსებობა გამოიწვია?

კვლევის მეთოდი. კვლევით ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი სახის მეთოდები:

- ⇒ მონაცემთა ანალიზი
- ⇒ თვისობრივი კვლევის მეთოდი
- ⇒ შედარებითი კვლევის მეთოდი
- ⇒ აღწერილობითი კვლევის მეთოდი
- ⇒ ისტორიული მეთოდი

საკითხის კვლევითი მდგომარეობა: წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თემა არ არის დამუშავებული და გამოქვეყნებული სხვა ავტორის მიერ, შესაბამისად ის არ არის პლაგიატი და წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას.

თავი პირველი - რეაბილიტაციის ისტორიული მიმოხილვა და მნიშვნელობა

1.1. რეაბილიტაციის ისტორიული მიმოხილვა

საქართველოს ისტორიაში არსებულმა ბრძოლებმა, სხვა რიგ საკითხებთან ერთად გავლენა იურისპრუდენციასზეც იქონია, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხდა ქართული სამართლის განვითარება. აზიურ და მეზობელ ქვეყნებთან ბრძოლით დაღლილი საქართველო გამოსავალს ევროპაში ხედავდა, კერძოდ, კი საფრანგეთში. სწორედ ამიტომ, მეფე ვახტანგ VI-მ არაერთხელ გაგზავნა სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის კარზე თუმცა ამაოდ. „საფრანგეთის უარის“ შემდეგ იყო „გეორგიევსკის ტრაქტატი“, მოგვიანებით „საბჭოთა კავშირი“, რომლის დაშლის შემდეგ ჩვენი ყვეყნის მიერ მოხდა ისევ ევროპული კურსის არჩევა, რომელსაც, მართალია, გვიან, თუმცა, მაინც მოჰყვა საქართველოს პარლამენტის მიერ ისეთი მნიშვნელოვანი კანონის მიღება 1996 წლის 25 ივნისს, როგორც იყო „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი და რომელსაც ევროპული სამართლებრივი აზრის განვითარების შედეგი ეწოდა.⁶

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა/ ჩამოყალიბების საუკეთესო მაგალითი არ იყო, იგი უნდა მივიჩნიოთ თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და განვითარების ერთ-ერთ საწყისად ქართული ვალაუვალობის სამართლისა.

რაც შეეხება უშუალოდ რეაბილიტაციას, ქართული კანონმდებლობა

⁶ მიგრაული.რ, “ ქართული კერძო სამართლის საკითხები.“ გამომცემლობა “იურისტების სამყარო“ თბილისი, 2016წ, გვ: 28.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996 წლის კანონის პირველი რედაქციით ის არ იყო გათვალისწინებული და მას „სანაციის“ სახელით იცნობდა, რომელიც ეკონომიკური საფრთხის ქვეშ მყოფი მოვალის პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად მიიჩნეოდა მისი ეკონომიკური გაჯანსაღებისთვის⁷. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენებოდა საგაკოტრებო მორიგება, რომლის მოთხოვნის უფლება სასამართლოში განცხადების შეტანის გზით ქონდა: ვალაუფალ მოვალეს, გაკოტრების ყველა კრედიტორს, კრედიტორთა კრებას ან კრედიტორთა კომიტეტს, ყველა პარტნიორს, კაპიტალის მფლობელს და გაკოტრების მმართველს. სამომრიგებლო წინადადებას შეიმუშავებდა გაკოტრების მმართველი, სხვა განმცხადებლებს შეეძლოთ წარედგინათ განსხვავებული წინადადება. ასევე, სასამართლოსაც შეეძლო წინადადების შემუშავება (გაწკა, მუხლი 23.2). სამომრიგებლო წინადადებაში განსაზღვრული უნდა ყოფილიყო, თუ როგორ მოხდებოდა კრედიტორთა დაკმაყოფილება. კანონი პირდაპირ ითვალისწინებდა უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორების არანაკლებ ორი მესამედით დაკმაყოფილებას. ხოლო ერთი რიგის კრედიტორებისათვის თანაბარ უფლებებს (გაწკა, მუხლი 23.3). სამომრიგებლო წინადადებაში მონაწილეობას იღებდნენ პრივილეგირებული და უზრუნველყოფილი კრედიტორები და არაპრივილეგირებული კრედიტორების უმრავლესობა (გაწკა, მუხლი 24.2) . მათ მიერ მიღებული საგაკოტრებო მორიგება უნდა დაემტკიცებინა სასამართლოს გადაწყვეტილებით (გაწკა, მუხლი 24.3).

რეაბილიტაციის ინსტიტუტის შემოღება აღნიშნული კანონის 2001 წლის 10 აპრილის რედაქციით მოხდა, რომელიც განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენდა ქართული სამართლისათვის. აღნიშნულ რედაქციაში

⁷ მიგრიაული.რ, მოვალის გაკოტრება როგორც სანაციის საშუალება, გაზეთი მსგეფსი,1997

რეაბილიტაციის გაჩენამ გამოიწვია კანონის მიზნის ცვლილებაც, საიდანაც დაიწყო საუბარი საწარმოს გადარჩენაზე ტერმინ „რეაბილიტაციის“ გამოყენებით.⁸ ხოლო უფრო ვრცლად რეაბილიტაციისათვის გამოყოფილ იქნა ცალკე III¹ თავი. რომელშიც ერთიანდებოდა შემდეგი 7 მუხლი:

- რეაბილიტაციის მიზანი;
- რეაბილიტაციის წინაპირობები;
- რეაბილიტაციის გეგმა;
- რეაბილიტაციის მმართველი;
- რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებანი;
- რეაბილიტაციის მმართველის გასამრჯელო;
- რეაბილიტაციის დასრულება და შეწყვეტა;⁹

სწორედ, აღნიშნული ნორმების მიღების შედეგს წარმოადგენს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტში არსებული რეაბილიტაციის ნორმები და ვიმედოვნებ, ის უზრუნველყოფს იმ მიზანთა მიღწევას, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა.

⁸ იხ. 2001 წლის 10 აპრილის რედაქციის 1-ლი მუხლი.

⁹ იხ. 2001 წლის 10 აპრილის რედაქციის 25¹ მ. და მომდ.

1.2. რეაბილიტაციის მნიშვნელობა

მას შემდეგ, რაც მეწარმე სუბიექტი მეწარმეთა და იურიდიულ პირთა რეესტრში დარეგისტრირდება, მნიშვნელოვანი შრომის გაწევა უწევს, რათა განვითარდეს და დასახულ მიზნებს მიაღწიოს. თუმცა, ყოველთვის არ ხდება დასახული მიზნების განხორციელება და იგი დგება სხვადასხვა სახის პრობლემების წინაშე, რაც საუკეთესო შემთხვევაში რეაბილიტაციის, უარეს შემთხვევაში კი გაკოტრების წინაშე აყენებს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, იწყება საწარმოს ლიკვიდაციის პროცედურები და ხდება რეესტრიდან მისი ამოშლა. სწორედ, გაკოტრების, საზოგადოების სამოქალაქო ბრუნვიდან გაქრობის პრევენციას ახდენს რეაბილიტაცია, რასაც შეიძლება „სიცოცხლის მეორე შანსი ეწოდოს“. ეს შანსი კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საწარმოსთვის, რათა არსებობა გააგრძელოს, არამედ ქვეყნისთვისაც, რადგანაც ბიუჯეტის შესავსებად საზოგადოების მიერ შეტანილი მოსაკრებლები უმნიშვნელოვანესია და ასევე, ადამიანებისათვის, რომლებიც აქ არიან დასაქმებულნი და შრომით-სამართლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებენ. ამ უკანასკნელთათვის საწარმოს არსებობის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანალიზის მიხედვით, რომელიც სხვადასხვა საქმიანობის შედეგადაა მიღებული, ირკვევა, რომ 2018 წელს, გაზრდის ნაცვლად, კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი 2017 წელთან მიმართებაში 1.706.6 -დან 1.694.2 ათასამდე, ხოლო 2019 წელს 1.690.2-მდე შემცირდა¹⁰. ეს საკითხი არა მხოლოდ მათთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც მნიშვნელოვანია. რადგანაც, რაც უფრო მეტი დასაქმებული იქნება, სახელმწიფოს ნაკლები სახსრების დახარჯვა მოუწევს დასაქმების პრობლემების აღმოფხვრელად.

როგორც ვხედავთ, საზოგადოების არსებობის შენარჩუნება სამივე

¹⁰ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>

მხარისათვის სასარგებლო არის. ყოველივე ამას ფინანსური სარგებელის გარდა, სახელმწიფოსათვის მოაქვს შრომითი ბაზრის შექმნა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი - „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის შექმნა მასთან ერთად, საზოგადოებაზე და მასში დასაქმებულ პირებზეც დადებითად აისახება.

თავი მეორე - რეფორმის მიზანი და რეაბილიტაციის ცნება

2.1. რეფორმის მიზანი

როგორც უკვე აღვნიშნე, კანონმდებლობა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რათა ქვეყანამ ეკონომიკური სტაბილურობა შეინარჩუნოს და უფრო განვითარდეს. ამისათვის კი, ეფექტური კანონმდებლობა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ხოლო, პრობლემის წინაშე მდგარი მოვალის საწარმოს შენარჩუნებისა და მისი არსებობის გაგრძელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. 2007 წელს მიღებული გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ მოქმედი კანონი უამრავჯერ გადასხვაფერდა, რათა არსებული პრობლემები გადაეჭრა და გამოწვევებს გამკლავებოდა. მიუხედავად ამისა, ყოველივემ შედეგი არ გამოიღო და განვითარების ნაცვლად, პირიქით, შეფერხდა და უფრო მეტ პრობლემას მოუყარა თავი, რომელთა მოგვარებაც ვერ უზრუნველყო. კანონის გარშემო არსებული სხვადასხვა პრობლემის შესახებ საუბარია „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ პროექტშიც.¹¹ კანონის განვითარებისა და დახვეწისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მასზე ყველა გამოხატავს აზრს. ამ და სხვა მრავალი მსგავსი გამოხმაურების გარდა, აღსანიშნავია ის, რომ კანონპროექტის ჩამოყალიბებას არა ერთი კვლევა და კონსულტაცია უძღოდა წინ საქართველოს

¹¹ https://www.ebrd.com/downloads/country/strategy/georgia_translation.pdf

იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ერთ-ერთი კვლევით, რომელიც 2016 წელს გერმანიის ეკონომიკურმა გუნდმა შეასრულა, დგინდება, რომ გადახდისუუნარობის დღეს მოქმედი კანონი უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს მოვალის გაკოტრებაზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ და სხვა უამრავი საკითხის გამო, მათ დაადგინეს, რომ საჭირო იყო ახალი კანონის მიღება.¹²

უკვე ნახსენები რეაბილიტაციის რეჟიმის და სხვა მრავალი საკითხის მოგვარების აუცილებლობამ საკანონმდებლო სივრცის დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რათა შექმნილიყო კანონპროექტი, რომელიც უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობას, პროცესის მონაწილე პირების უფლება-მოვალეობების გამიჯვნას, სასამართლოს როლის გაზრდას და რაც ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია კანონპროექტი დაუახლოვდებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. სწორედ, ამ ყოველივეს მოგვარება გახდა რეფორმის მიზანი, რომელიც უკვე მიღწევის პირასაა.

2.2. რეაბილიტაციის ცნება

სიტყვა უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი რომელიმე დარგის ცნების აღსანიშნად გამოიყენება. ხშირად მისი არასწორი გამოყენება და განმარტება გარკვეულ პრობლემებსა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. იგივე პრობლემები თავს იჩენს კანონებშიც. ის, რომ ტერმინთა ნაკლებობას განიცდის ქართული კანონმდებლობა, სხვა ქვეყნის კანონმდებლობიდან გადმოტანაშიც მოიკოჭლებს და სწორი განმარტების

¹² კანონპროექტის განმარტებითი ბარათი

ნაკლებობაც არსებობს, სიახლეს არ წარმოადგენს ჩვენთვის.

რაც შეეხება რეაბილიტაციას, ის უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც - „უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, პატიოსანი სახელის აღდგენა; ჩამორთმეულ უფლებათა აღდგენა“.¹³ სამართალში, კერძოდ კი ვალაუფალობაში რეაბილიტაციის მსგავსი განმარტება არაფრის მომცემია და მისი გამოყენების ჩვეულებას სრულიად არ შეესატყვისება. კანონმდებლებმა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტში ის უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენეს,¹⁴ ვიდრე ლექსიკონშია. „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონში იქნა პირველად გამოყენებული ტერმინი და მას შემდეგნაირად განმარტავს: „რეაბილიტაცია წარმოადგენს ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს მოვალის ფინანსური სიმძნელების დაძლევას, მისი საწარმოს ლიკვიდურობის აღდგენას და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას“.¹⁵ „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონში კი, ტერმინი რეაბილიტაცია განმარტებულია შემდეგნაირად: - „რეაბილიტაცია – საპროცესო, ხელმძღვანელობითი და მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით“.¹⁶

¹³ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=34058>

¹⁴ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931?>

¹⁵ გაწკა. მ.25¹

¹⁶ გადახდისუნარობის შესახ. კანონის მ. 3.ს

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტი დღემს რეაბილიტაციის განმარტებაზე და აქ მისთვის სიტყვათა განმარტებებში ადგილი არ მოიძებნა. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ კანონპროექტი რეაბილიტაციას განმარტავს შემდეგნაირად - „რეაბილიტაცია არის საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო უფლებამოსილებების განხორციელების საფუძველზე, ცდილობს უზრუნველყოს მოვალის მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა, თავიდან იქნას არიდებული მისი საწარმოს ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის შედეგად მოსალოდნელი სხვა შესაძლო ფაქტები“.

თავი მესამე - რეაბილიტაციის პროცესის განხილვა (კანონპროექტის - გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონთან მიმართებაში)

3.1 რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყება

მოქმედი კანონით რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებისათვის ორი შესაძლებლობა არსებობს. პირველი - მომრიგებელი საბჭოს მეშვეობით, და მეორე - მოვალის განცხადებით. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიხედვით, გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტასთან ერთად, მომრიგებელ საბჭოს მინიჭებული აქვს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. იმ შემთხვევაში, თუ მომრიგებელი საბჭოს მიერ არ იქნება მიღებული რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილება, მოვალეს შეუძლია განცხადებით მოითხოვს რეაბილიტაცია და წარადგინოს რეაბილიტაციის გეგმა, ასეთის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილი იქნება გამოიტანოს მოტივირებული განჩინება რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების თაობაზე.¹⁷ ამავე კანონის 32-ე მუხლი ითვალისწინებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მომრიგებელი საბჭოს წევრთა არჩევა და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. მაგ. კვალიფიკაცია, გამოცდილება, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და სხვ. ამ ყოველივეს

¹⁷ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33.3¹ მუხლი.

კანონში გათვალისწინება კარგია თუმცა, პრაქტიკიდან ირკვევა, რომ მომრიგებელი საბჭოს საქმიანობა არ არის ეფექტიანი. შედეგად მომრიგებელი საბჭოს საქმიანობა არ არის სანდო და პროცესის მიმართ უნდობლობას იწვევს.¹⁸ სწორედ ამის აღმოფხვრას ემსახურება ის ფაქტი, რომ კანონპროექტის მიხედვით მოვალის რეაბილიტაციის რეჟიმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქმის განმხილველ მოსამართლეს და მომრიგებელ საბჭოს, რომლის არსებობაზეც კანონპროექტით უარი არის ნათქვამი.

სასამართლო რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების შესახებ განჩინებით, ასევე იღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ, მოვალის მართვაში დატოვების შემთხვევაში მას უნიშნავს რეაბილიტაციის ზედამხედველს და სხვა.

3.2. რეაბილიტაციის გეგმის პროექტი და მისი წარდგენა

3.2.1. რეაბილიტაციის გეგმის პროექტი

იმისათვის, რომ რეაბილიტაცია განხორციელდეს, საჭიროა გეგმის არსებობა. რეაბილიტაციის გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელთა გადაჭრაც უზრუნველყოფს ფინანსური პრობლემების აღმოფხვრას. საკითხები, რომლებიც დასმული იქნება რეაბილიტაციის გეგმით თავიდან უნდა ირიდებდნენ გადახდისუუნარობასა და მოსალოდნელ გადახდისუუნარობას.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მოქმედი კანონის 46-ე მუხლი რეაბილიტაციის გეგმას ეთმობა, რომლის მიხედვითაც, რეაბილიტაციის

¹⁸ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი VII თავი.

გეგმის მომზადება შეიძლება დაევალოს მოვალეს, კრედიტორს, რეაბილიტაციის მმართველს ან/და რამდენიმეს ერთდროულად. კანონპროქტით კი, რეაბილიტაციის გეგმის პროექტს ამზადებს რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი (მუხ.81). კანონითა და კანონპროექტით რეაბილიტაციის გეგმა წარდგენილ უნდა იქნას კრედიტორებისათვის. რაც შეეხება გეგმის მომზადების ვადას, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის მიხედვით მას განსაზღვრავენ კრედიტორები სასამართლოს მიერ განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის განმავლობაში და მისი მომზადების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს. გეგმის მომზადების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ხმათა სულ მცირე 51%-ზე მეტის მქონე კრედიტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. კანონპროქტის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რეაბილიტაციის გეგმის პროქტი უნდა მომზადდეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. რაც შეეხება ვადის გაგრძელებას, მას კანონპროქტიც ითვალისწინებს და 2 თვიანი ვადის ამოწურვამდე არის შესაძლებელი სასამართლოსათვის მიმართვა, რათა ერთჯერადად 1 თვის ვადით მოხდეს ვადის გაგრძელება.

სხვა რიგ საკითხებთან ერთად, კანონპროექტის სიახლეს წარმოადგენს მოვალის მართვაში დატოვება, რომელსაც გარკვეულ უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც გააჩნია. რადგანაც ასეა, უკვე აღნიშნული რეაბილიტაციის მმართველისა და ზედამხედველის გარდა, რეაბილიტაციის გეგმის მომზადების უფლებამოსილება მოვალესაც გააჩნია და თუ მან უნდა მოამზადოს რეაბილიტაციის გეგმა, სანამ ის კრედიტორებს წარუდგენს გეგმას, ვალდებული არის გაითვალისწინოს რეაბილიტაციის ზედამხედველის დასაბუთებული შენიშვნები (თუ აქვს ასეთი), რომელთა მიზანიც რეაბილიტაციის გეგმის პროექტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანაა (მუხლი 81.2). როგორც ირკვევა, მართვაში მყოფი მოვალე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს და მას

ვალდებულება ეკისრება, გაითვალისწინოს რეაბილიტაციის ზედამხედველის შეხედულებები. ვფიქრობ, რეაბილიტაციის მმართველის ეს ერთგვარი კონტროლი მოვალის გადაწყვეტილებებზე გამოწვეულია იმით, რომ თავიდან იქნეს არიდებული სხვადასხვა პრობლემა, რაც კანონის არ ცოდნით იქნება გამოწვეული.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს პირობებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს რეაბილიტაციის გეგმით, ან - არა. კერძოდ, 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ვალებზე პროცენტების დარიცვა და გადახდა. ხოლო, გეგმა არ შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ წინადადებას, რომლის მიხედვითაც, ერთი რიგის კრედიტორების მოთხოვნის პირობები და ვადა განსხვავებული იქნება. თუმცა, კანონი გამონაკლისს გვთავაზობს და ამბობს, რომ შესაძლებელია წინსწრებით, რიგის დაცვის გარეშე დაკმაყოფილდეს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები.

კანონპროექტი საკითხების უფრო ფართო მოცულობას გვთავაზობს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას რეაბილიტაციის გეგმაში. კერძოდ, „მოვალის კორპორაციულ მონაცემებს პარტნიორებსა და რეგისტრირებულ დირექტორ(ებ)ზე მითითებით; რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის ვინაობას/დასახელებას, საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მისი დანიშვნის თარიღს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თობაზე განჩინების ასლთან ერთად; თარიღს, როდესაც რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა გადაეცეთ კრედიტორებს; მოვალის საქმიანობის ანგარიშის ასლს ან მის მოკლე შეჯამებას, გარდა გამჟღავნებისგან დაცული ნაწილისა, მოვალის საქმიანობის ანგარიშის შემდგენი პირის ვინაობას და ანგარიშზე თანდართულ რეაბილიტაციის მმართველის/ზედამხედველის შენიშვნებს; თუ სასამართლოს განჩინებით სრულად ან ნაწილობრივ შეიზღუდა მოვალის საქმიანობის ანგარიშის გამჟღავნება, სასამართლოსადმი მიმართვის განცხადებისა და

განჩინების მიღების თარიღებს¹⁹ და სხვა. რაც შეეხება საკითხებს, რომლებიც არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას რეაბილიტაციის გეგმით, კანონპროექტი ამაზე მითითებას არ აკეთებს.

3.2.2. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის წარდგენა

მოქმედი კანონით, მას შემდეგ, რაც რეაბილიტაციის გეგმის პროექტი შედგება, ის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მომრიგებელ საბჭოს უნდა წარედგინოს განსახილველად.²⁰ მომრიგებელი საბჭო მის განხილვას წარდგენისთანავე იწყებს და ამისათვის კანონით განსაზღვრული 10 დღიანი ვადა აქვს.²¹ ლოგიკურია ის ფაქტი, რომ გეგმის პროექტის განხილვის შედეგად, მას შემდეგ, რაც მომრიგებელი საბჭო კონსულტაციებს აწარმოებს კრედიტორებთან, მოვალესთან და რეაბილიტაციის მმართველთან შესაძლებელია გეგმის პროექტში ცვლილებების განხორციელება.²²

როგორც უკვე აღვნიშნე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს მომრიგებელ საბჭოს. შესაბამისად, კანონპროექტით, რეაბილიტაციის გეგმის წარდგენა ხდება რეაბილიტაციის მმართველის/ზედამხედველის მიერ ყველა კრედიტორისა და მოვალის პარტნიორებისათვის. რეაბილიტაციის მმართველის/ზედამხედველის მიერ კრედიტორებისათვის გაგზავნილ რეაბილიტაციის გეგმას თან უნდა დაერთოს „გაწეული მომსახურების

¹⁹ კანონპროექტი მ.81.3

²⁰ გადაკა მ.45.1

²¹ გადაკა მ.46.6

²² გადაკა მ.46.7

სანაცვლოდ მიღებული/მისაღები ანაზღაურებისა და გაღებული ხარჯების დეტალური აღწერილობა შესაბამის ოდენობებზე მითითებით“.²³

3.3. რეაბილიტაციის გეგმის მოწონება კრედიტორთა მიერ

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტი ახალ რეგულაციებს გვთავაზობს კრედიტორთა მიერ რეაბილიტაციის გეგმის მოწონებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი კანონისაგან რადიკალურად განსხვავებულს. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონისაგან განსხვავებით, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტი უზრუნველყოფილ კრედიტორებს უპირატეს მდგომარეობაში არ აყენებს. ის, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული კანონი და უარყოფითი გავლენა აქვს ამას სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და სხვა მხრივ ჩვენთვის სიახლეს არ წარმოადგენს და ამის შესახებ პრაქტიკოსები დიდი ხანია საუბრობენ.²⁴ სწორედ ამის და სხვა პრობლემების აღმოფხვრას უნდა ემსახურებოდეს კანონპროექტის მიხედვით ის, რომ ყველა კრედიტორი თავიანთი იმ მოთხოვნის ღირებულების პროპორციულად იღებენ რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მოწონებაში მონაწილეობას, რაც კრედიტორთა რეესტრში აქვთ დაფიქსირებული²⁵.

კანონისაგან განსხვავებით, კანონპროექტით კრედიტორებმა უნდა მოიწონონ რეაბილიტაციის გეგმის პროექტი მას შემდეგ, რაც

²³ კანონპროექტის მუხლები 81.7 და 81.9

²⁴ იხ. ინტერვიუ, „საქართველოში ფორმალური კანონშემოქმედებითი საქმიანობა მიმდინარეობს“ გაზეთი „ქრონიკა“ N5 (136), 9.2. 15.02.16

²⁵ კანონპროექტის მ.52.5

სასამართლოს მიერ მიღებულ იქნება განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე.²⁶ კრედიტორებს მოწონებისათვის კონკრეტული ვადა არ აქვთ განსაზღვრული, ისინი განჩინების მიღებიდან 6 თვის ვადაში უნდა ჩაეტიონ.²⁷ კანონპროექტი ითვალისწინებს ვადის ერთჯერად 3 თვით გაგრძელებას იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად იქნება მიღებული გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება კი გულისხმობს კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის თანხმობას რეაბილიტაციის გეგმის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ის სასამართლოს უნდა ეცნობოს.²⁸ კრედიტორთა მიერ რეაბილიტაციის გეგმის მოწონება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მოვალისათვის, რადგანაც იმ შემთხვევაში თუ ასე არ მოხდება, სასამართლო მიიღებს განჩინებას გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე.²⁹ ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეაბილიტაციისთვის მანამდე გაწეული შრომა ფუჭი აღმოჩნდება.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე დგინდება, რომ მომრიგებელ საბჭოს უდიდესი უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული მოქმედი კანონით როგორც რეაბილიტაციის გეგმის ჩამოყალიბებაში, ისე კრედიტორების მიერ მის მოწონებაზე. მას შემდეგ, რაც მომრიგებელი საბჭო განახორციელებს ყოველივეს წყდება მისი უფლებამოსილებები და პროცესს განაგრძობენ კრედიტორები.³⁰

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი რამდენიმე სახის კრედიტორს იცნობს, თუმცა, რეაბილიტაციის გეგმის მოწონება კანონით მინდობილი აქვთ მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორებს. თუ, რატომ

²⁶ კანონპროექტი მ.82.1

²⁷ კანონპროექტი მ.82.1

²⁸ კანონპროექტი მ.82.1

²⁹ კანონპროექტი მ.82.2

³⁰ გადაკა მ.32.9

მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორებს ცალკე განხილვის თემაა.³¹ მათი უპირატესობა კანონის 39-ე მუხლიდანაც იკვეთება, რომლის მიხედვითაც, მთლიანი პროცესის ერთგვარ წარმმართველებად და აღმასრულებლებად გვევლინებიან.

მას შემდეგ რაც, მომრიგებელი საბჭო თავის უფლებამოსილებას შეასრულებს, უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა გამოქვეყნებიდან 7 დღის განმავლობაში უნდა დაამტკიცონ რეაბილიტაციის გეგმა. იმისათვის, რომ რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულად ჩაითვალოს საჭირო არის ყველა კრედიტორის თანხმობა.³² კანონი ითვალისწინებს, შემთხვევას იმ უზრუნველყოფილი კრედიტორისათვის, რომელიც არ ეთანხმება რეაბილიტაციის გეგმას. ასეთ სიტუაციაში, დანარჩენმა კრედიტორებმა მას უნდა შესთავაზონ ალტერნატივა, რომელიც კანონით არის განსაზღვრული³³. ვფიქრობ, უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის ალტერნატიული წინადადების შეთავაზება კრედიტორების ინტერესებში არ შედიოდეს, რადგანაც ეს ყოველივე დროის კუთხით საგრძნობლად, ალბათ, ისევ 7 დღით გაახანგრძლივდება. გამომდინარე იქედან, რომ კანონი არ ადგენს მსგავს შემთხვევაზე ვადას, ლოგიკურია ასე ვიფიქროთ.

ის, რომ კანონპროექტი უპირატესობას რეაბილიტაციას ანიჭებს იმაშიც ჩანს, რომ კრედიტორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ტოლფასია მათ მიერ ალტერნატიული პროცედურის გამოყენება³⁴ (წერილობითი თანხმობის გაცემა, ელექტრონული მიმოწერა, დისტანციური მონაწილეობა და სხვ). ვფიქრობ, ეს კანონპროექტის ძალიან დიდი მიღწევაა, ხოლო კრედიტორებისათვის დიდი

³¹ იბ..ჰ.შნიტგერი, რ. მიგრიაული, “გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან”, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2011წ, გვ:117 და მომდ.

³² გადკა მ.47.1

³³ იბ. გადკა მ.47. და 47.4

³⁴ კანონპროექტი მ.82.3

შესაძლებლობა, რათა ყველამ შეძლოს მასში მონაწილეობის მიღება. ალტერნატიული პროცედურის გამოყენება მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, თუ პროცესი კრედიტორთა სიმრავლით გამოირჩევა, რაც არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა.

კანონპროექტი კრედიტორებს რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მოწონების ორ გზას სთავაზობს. ესენია:

- კრედიტორების მიერ შეთავაზებული ცვლილებების გარეშე;
- კრედიტორების მიერ შეთავაზებული ცვლილებით, რეაბილიტაციის მმართველის/ზედამხედველის თანხმობით;³⁵

3.3.1 რეაბილიტაციის გეგმის პროექტის კენჭისყრა

რაც შეეხება რეაბილიტაციის გეგმის პროექტის კენჭისყრას, კანონპროექტის მიხედვით ეს უნდა მოხდეს ხმის უფლების მქონე უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ ცალ-ცალკე.³⁶ არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მოწონება ხდება უმრავლესობით და უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის გეგმის პროექტი მოვალესა და უზრუნველყოფილ კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების ცვლილებას ითვალისწინებს.³⁷ კენჭისყრის

³⁵ კანონპროექტი მ.82.4

³⁶ კანონპროექტი მ.82.8

³⁷ კანონპროექტი მ.82.9

შედეგებში ვერ იქნება გათვალისწინებული იმ კრედიტორების ხმები, რომლებიც მოვალესთან დაკავშირებული პირები არიან.³⁸ ჩემი აზრით, ამ ნორმის არსებობა გამოწვეული არის იმ მიზნით, რათა, პროცესში თანაბრად იყოს დაცული როგორც მოვალის, ასევე, უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესები. იმ შემთხვევაში, თუ არაუზრუნველყოფილი კრედიტორი მოვალესთან დაკავშირებული პირი იქნება რა თქმა უნდა მოვალის ინტერესების საკეთილდღეოდ გადაიხრება, რაც უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესებს შელახავს. კანონპროექტი ასევე ადგენს შემთხვევას, როცა კრედიტორი მოვალესთან დაახლოებულ პირად ჩაითვლება. ასეთი შემთხვევა კი უნდა დადგინდეს რეაბილიტაციის ზედამხედველის/მმართველის მიერ მოვალის საქმიანობის ანგარიშის შემოწმების შედეგად.³⁹

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს შემოსავლების სამსახურის თანხმობას, რომლის მიერაც მისი გაცემა ავტომატურად მოხდება, თუკი რეაბილიტაციის გეგმის პროექტში გათვალისწინებული იქნება საგადასახადო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება რეაბილიტაციის გეგმის ძალაში შესვლიდან 5 წლიან ვადაში, ყოველწლიური თანაბარზომიერი დაკმაყოფილებით.⁴⁰ ვფიქრობ, აღნიშნული ნორმით შემოსავლების სამსახური სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება, რაც ეწინააღმდეგება კანონპროექტის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარ მოპყრობას გულისხმობს.⁴¹ მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ კანონის წინაშე თანასწორობაზე შემოსავლების სამსახურის, როგორც ერთ-ერთი კრედიტორის ასეთი უპირატესობა აღნიშნულ

³⁸ კანონპროექტი მ.82.10

³⁹ კანონპროექტი მ.82.10

⁴⁰ კანონპროექტი მ.82.11

⁴¹ კანონპროექტი მ.2.3

პრინციპს არღვევს და ეს ფაქტი კანონპროექტზე უარყოფითად აისახება.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ, უნდა მოხდეს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება, რომლის უფლებამოსილება კანონისაგან განსხვავებით უზრუნველყოფილ კრედიტორებს არ აკისრიათ. კანონპროექტით ეს უფლებამოსილება სასამართლოს გააჩნია. სწორედ, მას შემდეგ, რაც კრედიტორები მოიწონებენ რეაბილიტაციის გეგმას, რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი მას სასამართლოს წარუდგენს კრედიტორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.⁴²

3.3.2 სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების დაუშვებლობა

კანონპროექტის 83-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, რომელთა არსებობისას არ შეიძლება სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება. დაუშვებელია, მაგალითად, სასამართლომ დაამტკიცოს რეაბილიტაციის გეგმა, რომლითაც:

1. „გათვალისწინებულია პრეფერენციული ვალების ისეთი დაკმაყოფილება, რომელიც არ გულისხმობს მათ დაფარვას სხვა არაპრეფერენციულ ვალებზე პრიორიტეტულად, გარდა შესაბამისი კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევისა;
2. ირღვევა პროპორციულობის პრინციპი პრეფერენციულ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფების შიგნით, გარდა თავად ამ კრედიტორ(ებ)ის თანხმობის არსებობის შემთხვევისა;

⁴² კანონპროექტი მ.82.12

3. კრედიტორი არ მიიღებს ან არ შეინარჩუნებს, სულ მცირე, თავისი მოთხოვნის შესაბამის ისეთ ღირებულებას, რომელსაც მიიღებდა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების საფუძველზე, გარდა თავად ამ კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევისა. გაკოტრების მინიმუმის გამოანგარიშებისა და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის დადგენისას გამოიყენება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდი;
4. უზრუნველყოფილი კრედიტორი მიიღებს იმაზე ნაკლებს, ვიდრე ის უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიიღებდა, გარდა თავად ამ კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევისა;
5. დაცული არ არის ახალი კრედიტორული მოთხოვნები ამ კანონით დადგენილი წესით“.⁴³

კანონპროექტის აღნიშნული ნორმით, სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს, არ მოხდეს რომელიმე კრედიტორისათვის უპირატესობის მინიჭება, რათა ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ, არ დაკმაყოფილდეს კრედიტორი იმაზე მეტად ვიდრე იგი იმსახურებს, ასევე, კრედიტორისათვის რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება იმავე სარგებლის მომტანი უნდა იყოს, როგორც ეს იქნებოდა გატორების ან/და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში, უზრუნველყოფილმა კრედიტორმა არ უნდა მიიღოს იმაზე ნაკლები სარგებელი, რასაც იგი უზრუნველყოფილი საგნის რეალიზაციით მიიღებდა. გარდა ამისა, სასამართლო ვალდებული არის უზრუნველყოს ახალი კრედიტორების მოთხოვნების დაცვა რეაბილიტაციის გეგმით. იმისათვის, რომ აღნიშნული შემთხვევები, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისათვის დაბრკოლებად არ იქცეს საჭიროა უშუალოდ იმ კრედიტორის თანხმობა, ვისი ინტერესების შელახვაც მოხდება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებით.

⁴³ კანონპროექტი მ.83.2.

ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უდიდესი როლი აკისრია, რომელიც ყველა კრედიტორის ინტერესების დაცვას გულისხმობს.

3.4. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის უარყოფა

კანონისაგან განსხვავებით, კანონპროექტი ითვალისწინებს რეაბილიტაციის გეგმის პროექტის უარყოფას კრედიტორთა მიერაც. ასეთ შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სასამართლოს. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა სასამართლოს მაშინ ეძლევა, თუ კრედიტორთა კრება არ მოიწონებს კანონპროექტით დადგენილი წესების შესაბამისად. ასეთის არსებობისას, რეაბილიტაციის მმართველს/ზედამხედველს შეუძლია სასამართლოს მიმართოს რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად. სასამართლო მიმართვის საფუძველზე უფლებამოსილი იქნება დაამტკიცოს რეაბილიტაციის გეგმის პროექტი, თუ ერთდროულად იარსებებს ორი პირობა:

- „არაუზრუნველყოფილ ან უზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფმა მოიწონა შეთავაზებული რეაბილიტაციის გეგმის პროექტი ამ კანონით დადგენილი უმრავლესობით;
- სასამართლო მიიჩნევს, რომ შეთავაზებული რეაბილიტაციის გეგმის პროექტი რეალურად განხორციელებადია და კრედიტორთა უფლებები დაცულია ამ თავის შესაბამისად“⁴⁴.

⁴⁴ კანონპროექტი მ.84

აღნიშნული ნორმა სათავეს იღებს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996 წლის კანონიდან. რომლის მიხედვითაც, მოვალეს ან კრედიტორს შეეძლო სასამართლოსათვის განცხადებით მიემართა რეაბილიტაციის გეგმის გადასინჯვის ან რეაბილიტაციის შეწყვეტისთვის, თუ რეაბილიტაციის განხორციელებით ან რეაბილიტაციის მმართველის მიერ დაირღვეოდა მათი უფლებები. სასამართლოს განცხადება უნდა განეხილა მიმართვიდან 10 დღის ვადაში და მიეღო განჩინება.⁴⁵ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ დადგინდებოდა ზემოთ ნათქვამი ფაქტი და რეაბილიტაციის პროცესს შეწყვეტილად გამოაცხადებდა იგი გახსნიდა გაკოტრების საქმეს.⁴⁶

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნორმა რეაბილიტაციის რეჟიმის მომწესრიგებელი პირველი კანონიდან იღებს სათავეს, რომელმაც განვითარება კანონპროექტში პოვა. მართალია, გარკვეული ცვლილებებით, თუმცა, მაინც ცდილობს არსებობის გაგრძელებას. ეს კი იმის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ რეაბილიტაციის რეჟიმის განხორციელებისას მნიშვნელოვანია იმ კრედიტორთა ინტერესების დაცვა, რომლებიც რეაბილიტაციის გეგმას არ ეთანხმებიან.

3.5. რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების შედეგები

ყოველივე რაც განხორციელებას იწყებს, შედეგს იწვევს. გამონაკლისს არც რეაბილიტაციის გეგმა წარმოადგენს. რეაბილიტაციის გეგმის შედეგების ცალკე მუხლად ჩამოყალიბება, სხვა ბევრ ნორმასთან ერთად კანონპროექტის სიახლეს მიეკუთვნება.

⁴⁵ კაწკა მ.25⁷.3

⁴⁶ კაწკა მ.25⁷.4

მას შემდეგ, რაც სასამართლო დამტკიცებს რეაბილიტაციის გეგმას იგი ძალაში შევა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც თვითონ რეაბილიტაციის გეგმით არის განსაზღვრული თარიღი, თუ როდის უნდა შევიდეს იგი ძალაში. მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებიდან 1 თვეს.⁴⁷

კანონპროექტით განსაზღვრულია რეაბილიტაციის გეგმის ძალაში შესვლის შედეგად მისი შესრულების სავალდებულოობა, რომელიც ვრცელდება პროცესში მონაწილე მხარეებზე. ესენი არიან:

1. გეგმის მონაწილე ყველა მხარე და ის პირები, რომლებსაც რეაბილიტაციის გეგმა ეხება;
2. ის კრედიტორები, რომელთა მოთხოვნაც არ იქნა აღიარებული კანონპროექტის შესაბამისად;
3. ის კრედიტორები, რომლებმაც რეაბილიტაციის გეგმის საწინააღმდეგოდ მისცეს ხმა.⁴⁸

კანონპროექტის მიხედვით, გათვალისწინებული არის ორი პირობა, რომელთაგანაც ძალაში შესული რეაბილიტაციის გეგმა არ ათავისუფლებს მოვალეს. პირველი - ეს არის იმ ვალისაგან გათავისუფლება, რომელიც გეგმის დამტკიცებამდე წარმოიშვა და რომლის შესახებაც კრედიტორს არ ეცნობა კანონით გათვალისწინებული წესისამებრ და ივარაუდება, რომ კრედიტორისათვის მოვალის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ არ ან ვერ იქნებოდა ცნობილი. მეორე - მოვალე ვერ გათავისუფლდება იმ საგადასახადო ვალდებულებისაგან, რომელთან დაკავშირებითაც მან საგადასახადო დეკლარაცია წარადგინა თაღლითურად, მოტყუებით ან

⁴⁷ კანონპროექტი მ.85.1.

⁴⁸ კანონპროექტი მ.85.2.

3.6.დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის გაუქმება და მასში ცვლილების შეტანა

3.6.1.რეაბილიტაციის გეგმის ცვლილება

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მოქმედი კანონის 51-ე მუხლი ეხება რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილების შეტანას. რაშიც იგულისხმება ის, რომ რეაბილიტაციის გეგმა უკვე დამტკიცებული არის უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ. ხოლო, მასში ცვლილების შეტანა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორები მიიჩნევენ, რომ დამტკიცებული გეგმა ვერ უზრუნველყოფს მიზნების განხორციელებას და ეს შესაძლებელი იქნება თუკი მოხდება რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანა. (51.1)

რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილების განხორციელება იმავე წესით ხდება, როგორც მისი დამტკიცება.⁵⁰ რეაბილიტაციის მმართველი ამზადებს და დასამტკიცებლად წარადგენს გეგმაში შესატან ცვლილებებს თუკი, კრედიტორთა მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.⁵¹

იმ შემთხვევაში, თუ კანონის 33-ე მუხლის 3¹ პუნქტის შესაბამისად (რაც გულისხმობს მოვალის მიერ რეაბილიტაციის მოთხოვნასა და მის შესახებ განცხადების წარდგენას) დამტკიცებულ რეაბილიტაციის გეგმაში ხდება ცვლილებების შეტანა, იგი უნდა განხორციელდეს უზრუნველყოფილი კრედიტორების თანხმობით, ასეთის არ არსებობისას კი - კრედიტორთა კრების მიერ. ყოველივე ამის დამტკიცების უფლებამოსილება სასამართლოს გააჩნია იმ

⁴⁹ კანონპროექტი მ.85.3.

⁵⁰ იხ. ნაშრომის 24 და მომდ. გვ.

⁵¹ გადაკა მ.51.2.

პრინციპების გათვალისწინებით, რომლებზე დაყრდნობითაც იხელმძღვანელა რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.⁵²

თუკი არსებობს კანონპროექტის 85-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული პირობები, რომელთა არსებობისას ძალაში შესული რეაბილიტაციის გეგმა მოვალეს არ ათავისუფლებს გარკვეული ვალდებულებებისგან, დაინტერესებული კრედიტორის ინტერესის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია ცვლილება შეიტანოს დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმაში, და დააკმაყოფილოს იგი თუ კრედიტორის მიერ განცხადება დასაბუთებული იქნება. იმისათვის, რომ ორივე მხარის ინტერესები იქნას დაცული, სასამართლოზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მოვალესაც შეუძლია.⁵³ ვფიქრობ, კანონპროექტით ორივე მხარის ინტერესების დაცვა უდიდესი წინ გადადგუმი ნაბიჯია, იმ პრაქტიკის შემდგომ, რაც „გადახდისუნარობის საქმის წარმოების“ მოქმედი კანონით ჩამოყალიბდა.

3.6.2. რეაბილიტაციის გეგმის გაუქმება

რაც შეეხება რეაბილიტაციის გეგმის გაუქმებას კანონპროექტის მიხედვით, ეს შესაძლებელია მაშინ თუ:

- ცნობილი გახდება, რომ რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულ იქნა თაღლითობით ან
- მოტყუებით

⁵² გადაკა მ.51.3

⁵³ გადაკა მ.86.3

ყოველივე ამის განხორციელებისათვის საჭიროა არსებობდეს დაინტერესებული მხარის განცხადება, რის საფუძველზეც სასამართლო უფლებამოსილი იქნება გააუქმოს დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმა. ხოლო რაც შეეხება ვადას, ამისათვის განსაზღვრული არის რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებიდან 6 თვე.⁵⁴ თუკი სასამართლოს მიერ მოხდება დაინტერესებული მხარის განცხადების დაკმაყოფილება, განჩინება რომელსაც იგი მიიღებს, მოვალეს გაათავისუფლებს ზემოთ ნახსენები 85-ე მუხლის 3 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.⁵⁵

რეაბილიტაციის გეგმის გაუქმება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მოქმედი კანონით არ არის გათვალისწინებული.

თავი მეოთხე

მმართველობა რეაბილიტაციის რეჟიმში

4.1. რეაბილიტაციის მმართველი

რეაბილიტაციის მმართველის ინსტიტუტი სიახლეს არ წარმოადგენს გადახდისუუნარობის სამართლოსათვის. იგი ცნობილი იყო ჯერ კიდევ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996 წლის კანონის 2001 წლის რედაქციიდან. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი მას 2007 წლის პირველი რედაქციიდანვე ითვალისწინებს. რეაბილიტაციის მმართველის არსებობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა რეაბილიტაციის პროცესისათვის. რადგანაც, რეაბილიტაციის პროცესის წარმარმმართველი სწორედ ის არის.⁵⁶ ამ უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა რეაბილიტაციის მმართველს მას შემდეგ აქვს, რაც

⁵⁴ გადკა, მ.86.1

⁵⁵ გადკა, მ.86.2

⁵⁶ გადკა, მ.44.1.

კრედიტორების მიერ მისი დანიშვნა მოხდება. აღნიშნულ, კრედიტორების გადაწყვეტილებას სასამართლო განჩინებით ამტკიცებს.⁵⁷

4.1.1. კრიტერიუმები, რომლებსაც რეაბილიტაციის მმართველი უნდა აკმაყოფილებდეს

კანონი გვთავაზობს კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომლებსაც რეაბილიტაციის მმართველი უნდა აკმაყოფილებდეს. ესენია:

- პროცესის მხარეებისაგან დამოუკიდებლობა;
- მიუკერძოებლობა;
- კეთილსინდისიერება.

გამომდინარე იქედან, რომ კანონი ითვალისწინებს რეაბილიტაციის მმართველად როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირის არჩევას და იურიდიული პირის მიმართ კეთილსინდისიერების პრინციპი ვერ გავრცელდება, მას ჩაანაცვლებს საქმიანი რეპუტაციის ქონა. კანონით ასევე განსაზღვრული არის პირობა, რომლის არსებობის შემთხვევაშიც არ შეიძლება რეაბილიტაციის მმართველად დანიშნულ იქნას პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორც მოვალე.⁵⁸

⁵⁷ მომდ.

⁵⁸ გადკა.მ.44.3.

4.1.2. რეაბილიტაციის მმართველის უფლება-მოვალეობები

მოქმედი კანონით, რეაბილიტაციის პროცესში კრედიტორთა კრება განსაზღვრავს იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც რეაბილიტაციის მმართველს მიენიჭება. მათ შორის, მოხდება ხელშეკრულების დადება მას შემდეგ, რაც კრედიტორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას. ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, ანაზღაურება და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები.⁵⁹ იმ შემთხვევაში თუ, რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული იქნება რეაბილიტაციის მმართველის უფლება-მოვალეობების სხვისთვის გადაცემა, ის უნდა მოხდეს სანოტარო წესით გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე. თუ საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორი გადაწყვეტს რეაბილიტაციის პროცესში ახალი შენატანი განახორციელოს კაპიტალის გაზრდის მიზნით, მას დაჭირდება, ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობასთან ერთად რეაბილიტაციის მმართველის თანხმობაც.⁶⁰

რაც შეეხება რეაბილიტაციის მმართველის სამართლებრივ მდგომარეობას კანონპროექტით, იგი ძალიან განსხვავებულ და ფართო უფლება-მოვალეობებს გვთავაზობს კანონთან შედარებით.

კანონპროექტით რეაბილიტაციის მმართველს კრედიტორების მიმართ ფიდუციური ვალდებულებები გააჩნია, რაც რეაბილიტაციის მმართველს ავალდებულებს კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესით მოქმედებას. იმისათვის, რომ რეაბილიტაციის მიზნები მიღწეულ იქნას და რეაბილიტაციის მმართველმა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეძლოს, იგი აღჭურვილია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირისთვის

⁵⁹ მომდ.

⁶⁰ მომდ.

მინიჭებული ყველა უფლებებითა და ვალდებულებით.⁶¹ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ასეთი პირი დირექტორი არის. შესაბამისად, ეს იმას ნიშნავს, რომ რეაბილიტაციის მმართველს დირექტორის უფლება-მოვალეობები ეკისრება. დირექტორის უფლება-მოვალეობების რეაბილიტაციის მმართველისათვის მინიჭება რომ ფორმალური ხასიათს არ ატარებს ირკვევა იმ უფლებამოსილებათა ჩამონათალიდან, რასაც 75-ე მუხლის მე-4 ნაწილი გვთავაზობს რომელიც ძალიან ფართოა და გულისხმობს შემდეგს: ა) მის მიერ ზომების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მოვალის საწარმოს შენარჩუნებასა და წარმოების გაგრძელებას; ბ) მოვალის სახელით ქმედებათა განხორციელება და დოკუმენტებზე ხელმოწერა; გ) მოვალის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის, საბუთის და სხვ. გადაბარება და მიღება; დ) შვილობილი კომპანიების დაფუძნება და სხვა მრავალი, რომლებიც, უნდა განახორციელოს სწრაფად და ეფექტიანად, ყველა კრედიტორის ინტერესის გათვალისწინებით, ისე, რომ კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესს ზიანი არ მიადგეს.⁶²

მას შემდეგ რაც რეაბილიტაციის მმართველი დაინიშნება, მის მიერ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს კონტროლი და მეურვეობა მოვალის ყველა იმ აქტივსა და ქონებაზე, რომელზეც ჩათვლის რომ უფლებები მოვალეს გააჩნია.⁶³

რეაბილიტაციის მმართველი რეაბილიტაციის მთელი პროცესის განმავლობაში მოლაპარაკებებს აწამოებს კრედიტორებთან. ეს შეიძლება იყოს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ერთობლივი.⁶⁴

ასევე, ის ვალდებულია შეასრულოს სასამართლოს განჩინებით

⁶¹ კანონპროექტი, მ.75.1

⁶² კანონპროექტი მ.75.7

⁶³ კანონპროექტი მ.75.8

⁶⁴ კანონპროექტი მ.75.9

გათვალისწინებული მითითებები, იმისათვის, რომ მან უზრუნველყოს მოვალის საქმიანობისა და ქონების მართვა.⁶⁵

4.2. მოვალე მართვაში

როგორც უკვე აღვნიშნე, კანონპროექტის შექმნაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (რომელიც კანონპროექტის ინიციატორია) გარდა, მონაწილეობას იღებდა არაერთი ორგანიზაცია. ბიზნეს სფეროსა და სამართლის წარმომადგენლები ტელევიზიისა და ბეჭდური მედიის საშუალებით ხშირად განიხილავდნენ მას და მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, კანონპროექტს კრიტიკა ჯერ არ მოყოლია. გარდა დასახელებულებისა, კანონპროექტით დაინტერესებული იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელმაც 2019 წელს მოამზადა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია“. აღნიშნული სტრატეგია რამდენიმე მიმართულებისაგან შედგება და პირველია სამართლებრივი მიმართულება. სწორედ, აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, რომლის პრიორიტეტულ ღონისძიებად „ბიზნესის დახურვის და გადახდის უუნარობის პროცედურების გაუმჯობესებაა“,⁶⁶ მოხდა კანონპროექტის შექმნა და მთავრობისათვის წარდგენა. შესაბამისად იმისა, რომ გეგმის მიზანს წარმოადგენს ბიზნესის შენარჩუნება და უკეთესი პროცედურების ჩამოყალიბება, რომელშიც ყველა მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მასში, ამისათვის საუკეთესო საშუალება იყო მართვაში დარჩენილიყო მოვალე და პროცესის არამც თუ მაყურებელი, არამედ, მისი მონაწილე ყოფილიყო. ეს საშუალება გამოყენებულ

⁶⁵ კანონპროექტი მ.75.10

⁶⁶http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.pdf

იქნა კანონმდებლების მიერ და მოვალე მართვაში იქნა დატოვებული, რაც გადახდისუუნარობის საკანონმდებლო სივრცის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ იქცა.

ის, რომ საქართველოში პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო მცირე და საშუალო მეწარმეობა და მოქმედი კანონი ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს. რადგანაც, ამაზე ჯერ 2009 წელს საუბრობდა ჟურნალ „ბიზნეს კანონმდებლობასთან“ მიცემულ ინტერვიუში სამართლის დოქტორი და იურისტი როინ მიგრიაული, რომელიც მოქმედ კანონს უკან გადადგმულ ნაბიჯს უწოდებდა.⁶⁷

უამრავი კრიტიკის შედეგად, მოხდა ისე, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული არის მოვალის რეაბილიტაციის პროცესის მართვაში დატოვება, რამაც უზრუნველყო „სამოქალაქო საპროცესო“ კოდექსით გათვალისწინებული პრინციპების დაცვა. კერძოდ, კი უფლების სასამართლო წესით დაცვა, დისპოზიციურობის პრინციპი და შეჯიბრებითობის პრინციპი, რომლებითაც გადახდისუუნარობის სამართალი კანონის ანალოგიის შესაბამისად სარგებლობს.⁶⁸

კანონპროექტის 73-ე მუხლი ეძღვნება მართვაში დარჩენილ მოვალეს. რომლის მიხედვითაც მოვალის მიმართ კანონპროექტით გათვალისწინებული ყველა ის ნორმა ვრცელდება, რაც რეაბილიტაციის მმართველის მიმართ არსებობს, გარდა გამონაკლისებისა, რომლებსაც კანონპროექტი პირდაპირ ითვალისწინებს. (73.1.)

⁶⁷ რ.მიგრიაული. „მეწარმისათვის კაბალური კანონი და გართულებული პროცედურები“. ჟურნალი. „ბიზნეს კანონმდებლობა“.

⁶⁸ სასაკპო, მ.2 და მომდ.

გამონაკლისები რომელიც მართვაში დარჩენილ მოვალეს არ ეხება:

- იმ უფლება-მოვალეობათა განხორციელება, რომლების რეაბილიტაციის ზედამხედველს ეკისრება;
- მოვალის ყოფილი ან მოქმედი დირექტორის, ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ სხვა პირთა ქმედებებისა და მათ მიერ დადებული გარიგებების შეცვლების უბლება;⁶⁹

რაც შეეხება მართვაში დარჩენილი მოვალის ვალდებულებებს, ისინი შემდეგი სახისაა:

- 1. თუკი მოვალეს სურს რაიმე ქმედების განხორციელება, რომლისთვისაც აუცილებელი არის რეაბილიტაციის ზედამხედველის თანხმობა, რაც კანონით პირდაპირ არის გათალისწინებული, ვერ განხორციელდება თუ არ იქნება რეაბილიტაციის ზედამხედველის თანხმობა.(73.3)
- როდესაც რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებამდე მოვალეს ექნება სურვილი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს მიღმა აიღოს ვალდებულება ან დადოს ხელშეკრულება, ასეთის განხორციელება მას შეეძლება მხოლოდ რეაბილიტაციის ზედამხედველის თანხმობის შემთხვევაში. რეაბილიტაციის ზედამხედველის უარი თანხმობაზე მართვაში დარჩენილ მოვალეს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.⁷⁰

აღნიშნული 73-ე მუხლის 5 ნაწილი ითვალისწინებს მართვაში მყოფი მოვალის შეცვლას რეაბილიტაციის მმართველით. ამისათვის საჭირო არის:

⁶⁹ კანონპროექტი, მ.73.2მ.

⁷⁰ კანონპროექტი, მ.73.4.

- ყველა ხმის უფლების მქონე კრედიტორის 10 %-ის თანხმობა;
- კრედიტორთა კომიტეტის; ან
- რეაბილიტაციის ზედამხედველის მოთხოვნა შუამდგომლობის სახით, რომელსაც სასამართლო განიხილავს.

იმისათვის, რომ მართვაში მყოფი მოვალის მიმართ განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიება უნდა არსებობდეს გარკვეული გარემოებები, რომელსაც კანონი განსაზღვრავს. ესენია:

- კანონპროექტის VIII თავით გათვალისწინებული შეცილების საფუძვლები. ეს იმიტომ, რომ აღნიშნული თავის 65-ე მუხლის თანხმად, მმართველსა და რეაბილიტაციის ზედამხედველს აქვთ შეცილების უფლებამოსილება მინიჭებული, ხოლო მართვაში დარჩენილ მოვალეს კი - არა;
- რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნამდე ან მის შემდგომ, მოვალის მხრიდან ადგილი ქონდა კეთილსინდისიერების, კომპეტენსიის და აუცილებელი ზრუნვის მოვალეობის პრინციპის დარღვევას. ასევე, თუ მის მიერ მმართველობა მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი დარღვევებით; და
- თვითონ მოვალემ განაცხადა უარი უფლებამოსილების განხორციელებაზე.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევების გარდა, კრედიტორთა კრებას უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მართვაში მყოფი მოვალის შეცვლა რეაბილიტაციის მმართველით. ამისათვის კი საჭიროა, ხმის უფლების მქონე კრედიტორთა უმრავლესობის არანაკლებ 2/3-ის თანხმობა. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორთა უმრავლესობა უნდა იყოს თანახმა, საბოლოო გადაწყვეტილებას განჩინებით სასამართლო იღებს, დაეთანხმება თუ არა. იმისათვის, რომ ორივე მხარის ინტერესები იქნას დაცული, სასამართლო

გადაწყვეტილების მიღებამდე უფლებამოსილია მოვალესა და ზედამხედველს მოუსმინოს.(73.6)

იმ შემთხვევაში, თუ მართვაში მყოფი მოვალის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი გარდაიცვლება, ან სხვა გარემოების გამო ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მოსამართლე რეაბილიტაციის მმართველად დანიშნავს რეაბილიტაციის ზედამხედველს.(73.7)

73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულია მართვაში დარჩენილი მოვალის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება, რომელიც შეიძლება მოითხოვოს რეაბილიტაციის ზედამხედველმა, კრედიტორებმა და პარტნიორებმა. აღნიშნულის მოთხოვნის მიზანი მდგომარეობს შეცილების საფუძვლების, არასათანადო განკარგვის ან გადაძალვის შესაძლო შემთხვევების გამოვლენიდან. ასევე, რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის საფუძვლისა და შესაძლებლობების განხილვისათვის.

73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად მოვალის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას მოვალის წინააღმდეგ მტკიცებულებად. (73.9)

როგორც ვხედავთ, კანონმდებლების მიერ გაწეული შრომა გამართლებული აღმოჩნდა, რადგანაც მართვაში დარჩენილი მოვალის მიმართ გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები ნათლად არის განსაზღვრული. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კანონპროექტამდე მოვალე მართვაში არ იყო გათვალისწინებული და არანაირი ნორმები არ არსებობდა მასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ კანონპროექტმა

შეძლო მართვაში დარჩენილი მოვალის სტატუსისა და კომპეტენციების განსაზღვრა ისე, რომ უარყოფით შეფასებები არ გამოიწვიოს. მიმაჩნია, რომ კანონმდებლის გადაწყვეტილება მოვალის მართვაში დარჩენაზე დადებითად აისახება რეაბილიტაციის პროცესზე.

4.3. რეაბილიტაციის ზედამხედველი

რეაბილიტაციის ზედამხედველის ინსტიტუტი მსგავსად მოვალის მართვაში დარჩენისა კანონმდებლობისათვის სიახლეს წარმოადგენს. სწორედ მოვალის მართვაში დატოვებამ განაპირობა რეაბილიტაციის ზედამხედველის არსებობის აუცილებლობა.

რეაბილიტაციის ზედამხედველს ეხება კანონპროექტის 74-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მისი დანიშვნის უფლებამოსილება გააჩნია სასამართლოს, ამისათვის კი საჭიროა, მოვალე იყოს რეაბილიტაციის პროცესში დარჩენილი. ე.ი არის მოვალე მართვაში, არის რეაბილიტაციის ზედამხედველი.

გამომდინარე იქედან, რომ რეაბილიტაციის ზედამხედველი არსებობს პროცესში, მის მიმართ არსებობს გარკვეული უფლებამოსილებები. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილიდან როგორც ჩანს, კანონმდებლებს მისთვის უფლებამოსილებები არ დაუშურებია. კერძოდ, კი უფლებამოსილებები, რომლებიც რეაბილიტაციის ზედამხედველს გააჩნია არის:

- სასამართლოსათვის მიმართვა კრედიტორთა კრების მოწვევისათვის, იმ შემთხვევებში თუ 1. კანონპროექტით გათვალისწინებული შეცვლების საფუძვლების განხილვა სურს, 1.2. თუკი, მას სურს მართვაში მყოფი მოვალის რეაბილიტაციის მმართველით შეცვლის განხილვა. 1.3. მთლიანი მოთხოვნების 10%-ის მფლობელი კრედიტორების მოთხოვნით, კრედიტორთა კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადასაწყვეტა.
- ყველანაირი სახის წვდომა ქონდეს მოვალის ქონებაზე, საბუღალტრო და საფინანსო ჩანაწრებზე, გარიგებებზე და სხვ.
- მოვალესთან ერთად ადგენს რეაბილიტაციის გეგმის პროექტს ან გეგმის გადასინჯვის პროექტს. იმ შემთხვევაში, თუ მოვალისა და რეაბილიტაციის ზედამხედველის შეხედულებები რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე ან თუ მისი შეხედულებით, მთლიანად რეაბილიტაციის პროექტი არ შეესაბამება კანონპროექტის მოთხოვნებსა და სტანდარტებს, იგი ვალდებულია რეაბილიტაციის გეგმის პროექტს დაურთოს წერილობითი ფორმით თავისი შენიშვნები. ასეთი შენიშვნის არ არსებობის შემთხვევაში, ავტომატურად ჩაითლება, რომ ის რეაბილიტაციის გეგმის პროექტს არ ეწინააღმდეგება.
- რეაბილიტაციის ზედამხედველი ასევე, უფლებამოსილია მიიღოს, გამოითხოვოს და გაეცნოს მოვალის საქმიანობის ანგარიშებს,
- თანხმობა მისცეს/არ მისცეს მოვალეს კრედიტორული მოთხოვნის სრულ ან ნაწილობრივ უარყოფაზე ან აღიარებაზე
- უხელმძღვანელოს კრედიტორთა კრებას შეუზღუდავად ითანამშრომლოს კრედიტორებთან და კრედიტორთა კომიტეტთან
- დაესწროს კრედიტორთა კრებას და მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია
- ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დაინტერესებული პირისთვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში

- ასევე შეუზღუდავად გაეცნოს მოვალის შესახებ სასამართლოში დაცულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციის დახურულ ნაწილს კონფიდენციალობის დაცვის პირობით და სხვ.⁷¹

განხილვის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეაბილიტაციის ზედამხედველის უფლებამოსილებები ფართო მოცულობისაა, ეს კი, თავისუფლად მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს მას. რეაბილიტაციის ზედამხედველისათვის აღნიშნული ნორმა უდიდესი შესაძლებლობაა, რათა იგი მაქსიმალურად იყოს ჩართული რეაბილიტაციის განხორციელების პროცესში.

4.4.დირექტორი

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, დირექტორია ის პირი, რომელსაც საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა აკისრია.⁷² ეს კი ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. დირექტორის უფლებამოსილება განისაზღვრება წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ასეთის არარსებობისას კი, ხელმძღვანელობა ხდება კანონით განსაზღვრული ზოგადი

⁷¹ კანონპროექტი, მ.74.2.

⁷² მეწკა. მ.9.1.

უფლებამოსილებების საფუძველზე.⁷³ დირექტორს პირდაპირ კანონით აქვს დაკისრებული ვალდებულება იმისა, რომ მან კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებული იქნება საზოგადოებას მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს მთელი თავისი ქონებით.⁷⁴ დირექტორის მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც განმარტებულია: ზრუნვის მოვალეობა დირექტორისაგან მოითხოვს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლის მიზანიც იქნება კომპანიის მოგების გაზრდა. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება მცდარი იყოს, თუმცა, თუ იგი „ბიზნესის გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე მოქმედებდა და მიაჩნდა, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებული იყო საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით, მაშინ იგი დაცული იქნება პირადი პასუხისმგებლობისაგან.⁷⁵ აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზიანი, რომელიც საზოგადოებას ადგება და შედეგად დგება მოსალოდნელი გადახდისუუნარობა, გაკოტრება ან რეაბილიტაცია, თავიდანვე ვერ იქნება განმსაზღვრელი იმისა, რომ დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით არის ყოველივე გამოწვეული, რომ სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მიადგა ზიანი მოვალეს და ისაა ის, ვინც აუცილებლად უნდა აგოს პასუხი ნებისმიერ შემთხვევაში. თუმცა, ასევე უდავოა ის ფაქტიც, რომ ხშირად დირექტორის გადაწყვეტილებებზე არის დამოკიდებული საზოგადოების ბედი მიაღწევს თუ არა იგი გადახდისუუნარობის, რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმამდე.

⁷³ მეწკა. მ.56.2.

⁷⁴ მეწკა. მ.9.6.

⁷⁵ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე Nას-1307-12-45-204

მაშინ, როდესაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი დირექტორის უფლებამოსილებების შესახებ ერთი წინადადებით შემოიფარგლება კანონპროექტი უფრო ვრცელ ჩარჩოს გვთავაზობს. კანონპროექტით განსაზღვრული არის დირექტორის უფლებამოსილების შეჩერება, მისი ვალდებულება და გაწეული შრომის ანაზღაურების რაოდენობა. კერძოდ კი, კანონპროექტის 72-ე მუხლი, რომელიც დირექტორის უფლებამოსილებების შეწყვეტას ეხება განსაზღვრავს, რომ მას შემდეგ რაც, რეაბილიტაციის მმართველი დაინიშნება, დირექტორს უჩერდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რაც ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას გულისხმობს. ასევე, თუ რეაბილიტაციის მმართველი მიიღებს გადაწყვეტილებას დირექტორმა მონაწილეობა მიიღოს რეაბილიტაციის პროცესის განხორციელებაში, იგი ვალდებული იქნება რეაბილიტაციის რეჟიმში დარჩეს. ამისათვის დირექტორი მიიღებს იმ გონივრულ ანაზღაურებას, რომლის რაოდენობასაც რეაბილიტაციის მმართველი განსაზღვრავს. დირექტორის საქმიანობის გაგრძელება გულისხმობს რეაბილიტაციის მმართველთან თანამშრომლობას, რეაბილიტაციის გეგმის შედგენასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას.

კანონპროექტი ითვალისწინებს, გარემოებას, როდესაც დირექტორის უფლებამოსილება რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნით არ ჩერდება და არც მისი გადაწყვეტილებით რჩება პროცესში. ეს გამონაკლისი განსაზღვრულია კანონპროექტის 99-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ანუ დირექტორი, ვალდებული არის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და სასამართლოს მიერ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში, საგადასახადო ორგანოში წარადგინოს აქამდე წარუდგენელი დეკლარაციები, ხოლო უკვე წარდგენილში, თუკი შეცდომა იქნება აღმოჩენილი შეუძლია შეცვალოს ან/და დაამატოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ დირექტორი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, დადგება მისი

პასუხისმგებლობის საკითხი და მიუხედავად ასეთი შემთხვევის დადგომისა, იგი არ გათავისუფლებს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

რაც შეეხება დირექტორს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონით, აქ მისი უფლებამოსილება ფართო მასშტაბის არაა და კანონი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ „რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველსა და საწარმოს დირექტორის უფლება-მოსილებათა წრეს განსაზღვრავს კრედიტორთა კრება“.⁷⁶ აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ დირექტორი რეაბილიტაციის პროცესში იმდენად მიიღებს მონაწილეობას, რამდენადაც კრედიტორთა კრება გადაწყვეტს და მოინდომებს პროცესში მის ჩართულობას.

როგორც ვხედავთ, კანონპროექტის შექმნისას კანონმდებლებს დირექტორის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებზე ნაყოფიერი შრომა გაუწევიათ. აღნიშნული რეგულაციები, რომლებიც დირექტორს ეხება ვფიქრობ, დადებითად აისახება რეაბილიტაციის პროცესზე და ის ცოდნა და გამოცდილება, რაც დირექტორს აქვს დაგროვებული, ძალიან გამოადგება მოვალეს, რათა საწარმოს რეაბილიტაციის პროცესი დადებითად განხორციელდეს.

საინტერესოა, როგორი იქნება დირექტორის სტატუსი, რომელიც რეაბილიტაციის პროცესში რჩება და საქმიანობას აგრძელებს და მხოლოდ რჩევით არ შემოიფარგლება და მას მრჩეველს ვერ ვუწოდებთ, რადგანაც იგი რეაბილიტაციის გეგმის შედგენიდან მის განხორციელებამდე პროცესში იქნება ჩართული. დირექტორი, რომელიც რეაბილიტაციის პროცესში დარჩება შეინარჩუნებს თუ არა დირექტორის სახელს? ამ კითხვით ჩემი დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებისა და მისი პროცესში

⁷⁶ გადკა. მ.44.4.

დარჩენის შემთხვევაში, დირექტორს იმ უფლებამოსილებების განხორციელების შესაძლებლობა არ ექნება, რასაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი გულისხმობს. ასევე, საინტერესოა, რა ტიპის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება აწ უკვე ყოფილი დირექტორის ან ფორმალურად ამ სახელის მატარებლის დატოვება რეაბილიტაციის პროცესში. ეს იქნება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ე.წ. სასამსახურო ხელშეკრულება, შრომით-სამართლებრივი, თუ კომბინაციური? თუკი დირექტორის რეაბილიტაციის პროცესში იმავე სტატუსით დარჩება, რაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით გააჩნია, ვერ მოხდება შრომით-სამართლებრივი ხელშეკრულების დადება, რადგანაც მასთან ურთიერთობას მაღალი ხარისხის და დონისას უწოდებენ.⁷⁷

შპს-ს დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებას რომ „შრომითი ხელშეკრულება“ ეწოდოს წინააღმდეგია სამართლის დოქტორი როინ მიგრიაული. მას მიაჩნია, რომ უფრო მართებული იქნება თუ დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებას „სასამსახურო ხელშეკრულება ერქმევა“, ან გერმანული სამართლის შესაბამისად, როგორც ის გვთავაზობს „საზოგადოების მართვის ხელშეკრულება“.⁷⁸ რადგანაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ეს საკითხი ღიაა, იმედია გადახდისუუნარობაზე ზეგავლენას არ იქონიებს და აქაც ასე არ დარჩება.

დირექტორი სამეწარმეო საზოგადოების მართვის აუცილებელი ორგანოა, რომლის მნიშვნელობაც საზოგადოების საქმიანობის სწორად წარმართვაში

⁷⁷ ლ.ჭანტურია, თ, ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, 2002, გვ 303

⁷⁸ რ.მიგრიაული, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება“, ჟურნალი „ნოტარიატი,სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა“ N1, 2003

გადამწყვეტია.⁷⁹ სწორედ, დირექტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე ნათელი უნდა იყოს გადახდისუუნარობაში მის გარშემო არსებული ყველა საკითხი, რადგანაც იგი აქამდე მხოლოდ მეწარმეთა შესახებ კანონის ქვეშ ექცეოდა და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ მოქმედი კანონით მისი უფლებამოსილება წყდება რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებისთანავე, პროცესში დარჩენის ყველანაირი პერსპექტივის გარეშე.

თავი მეხუთე

კრედიტორთა კომიტეტი რეაბილიტაციის რეჟიმში

5.1. კრედიტორთა კომიტეტი

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მოქმედი კანონით კრედიტორთა კომიტეტის რეგულაციის ნორმები მწირია. მასში არ არის განსაზღვრული, თუ რა ფუნქციითა და მიზნით აირჩევა კრედიტორთა

⁷⁹ ლაზარიშვილი. ლ, „ოფიციალური კონტრაქტი კომპანიის დირექტორთან“. „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2009

კომიტეტი, რამდენი წევრისაგან უნდა შედგებოდეს, რა შემთხვევაში ან რა აუცილებლობით აირჩევა და სხვა. ეს ყოველივე კანონპროექტმა აღმოფხვრა და მისი რეგულირების უფრო ფართო მასშტაბს გვთავაზობს უამრავი სიახლით.

5.5.1. კრედიტორთა კომიტეტის შექმნა

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კრედიტორთა კომიტეტის შექმნა სავალდებულო ხასიათის არაა. კანონით კრედიტორთა კრებას აქვს უფლებამოსილება მინიჭებული კრედიტორთა კომიტეტის შექმნისა. შესაბამისად, კრედიტორთა კრების ნებაზეა დამოკიდებული, შეიქმნება თუ არა იგი. ასევე, კრედიტორთა კრება ირჩევს მის წევრებს, განსაზღვრავს მათ რაოდენობას და იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს არჩეულ წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღება და რა უფლებამოსილები მიენიჭებათ. იმისათვის, რომ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება მოქმედუნარიანი გახდეს საჭიროა ხმათა უბრალო უმრავლესობა.⁸⁰

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მოქმედი კანონის მსგავსად, კრედიტორთა კომიტეტის შექმნის უფლებამოსილება კანონპროექტითაც კრედიტორთა კრებას გააჩნია. პირველი საკითხი, რასაც კანონპროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აგვარებს, არის ის, რომ იგი გვთავაზობს კრედიტორთა კომიტეტის შექმნის მიზანს. ეს მიზანი კი არის კრედიტორთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა.⁸¹

⁸⁰ გადაკა მ.28.2

⁸¹ კანონპროექტი მ.76.1.

5.1.2. კრედიტორთა კომიტეტის შექმნის ვალდებულება

მეორე საკითხი, რის აღმოფხვრასაც კანონპროექტი გვთავაზობს, არის ის თუ, როდისაა სავალდებულო კრედიტორთა კომიტეტის შექმნა. ასეთად კი განსაზღვრულია შემთხვევა, როდესაც მოვალეს ჰყავს მინიმუმ 50 კრედიტორი და აკმაყოფილებს შემდეგ 2 კრიტერიუმს ბოლო სამეურნეო წლის მაჩვენებლის მონაცემებზე დაყრდნობით, ესენია:

- მოვალის აქტივების ღირებულება თუ 10 მილიონ ლარს აღემატება;
- და თუ მოვალის წლიური შემოსავალი 20 მილიონ ლარს აღემატება. (76.2.)

5.1.3. კრედიტორთა კომიტეტის ინიცირება

მესამე საკითხი, რაც დარეგულირებულია კანონპროექტით, არის კრედიტორთა კომიტეტის ინიცირება. კანონპროექტის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კრედიტორთა კომიტეტის არჩევის შეთავაზების უფლებამოსილება კრედიტორთა კრების თავმჯდომარეს აქვს მას შემდეგ, რაც რეაბილიტაციის რეჟიმი გაიხსნება და პირველივე კრება შეიკრიბება. კრედიტორთა კომიტეტის წევრად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც კრედიტორთა კრების ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. კრედიტორთა კრებაში მონაწილეობას იღებენ უზრუნველყოფილი კრედიტორები, რომლებიც 1 წევრს ირჩევენ და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების, რომლებსაც 2

წევრის არჩევის უფლება აქვთ.⁸² აღნიშნულმა ჩარჩომ მოახდინა კრედიტორთა კომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტა. ეს კი პრობლემას წარმოადგენდა, რადგანაც კანონით ის არ არის განსაზღვრული. გამომდინარე იქედან, რომ კრედიტორთა კომიტეტის საქმიანობა ანაზღაურებადია, მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხის მოგვარება, რათა მასში ბევრ წევრს არ მიეღო მონაწილეობა და ამას ხარჯები ძალიან არ გაეზარდა.

5.1.4. კრედიტორთა კომიტეტის მიუკერძოებლობა

კანონპროექტის მიხედვით, კრედიტორთა კომიტეტი საქმიანობას მიუკერძოებლად უნდა ახორციელებდეს და სხვა კრედიტორებისგან დამოუკიდებელი პირადი ინტერესი არ უნდა გააჩნდეს.⁸³ ვფიქრობ, აღნიშნული ნორმის არსებობა განაპირობა იმან, რომ კრედიტორთა კომიტეტის შექმნა თვითონ კრედიტორების სურვილის მიხედვითაც ხდება. მათთვის ამ თავისუფლების მინიჭება არ გამორიცხავს კრედიტორთა წრის ან ერთი კრედიტორის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტილებების მიღებას. სწორედ, ამიტომ არის მნიშვნელოვანი აღნიშნული ნორმის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი პირდაპირ არ გვთავაზობს კრედიტორთა კომიტეტის მიუკერძოებლობის საკითხის დადგომის შემდგომ მოქმედებებს, თუ რა რეაქცია მოყვება კრედიტორის მიერ მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევას, ვფიქრობ, 77-ე მუხლის მე-16 ნაწილის მიხედვით დადგება მისი კრედიტორთა კომიტეტიდან გაწვევის საკითხი მაგალითად, უნდობლობის საფუძლით.

⁸² კანონპროექტი მ.76.4მ

⁸³ კანონპროექტი მ.76.5მ

5.1.5. პირები, რომელთა არჩევა კრედიტორთა კომიტეტში არ შეიძლება

კანონპროექტი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთა არჩევა კრედიტორთა კომიტეტში არ შეიძლება. ესენია: „ა) მოვალის სულ მცირე 25%-იანი წილის ან აქციების მესაკუთრეები, ასევე აქციონერები ან წილის მესაკუთრეები, რომლებიც მონაწილეობენ მოვალის მენეჯმენტში ან შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მენეჯმენტზე; ბ) მოვალის მენეჯმენტთან, ან/და მოვალის სულ მცირე 25%-იანი წილის ან აქციების მესაკუთრეებთან ან თავად მოვალესთან დაკავშირებული პირები; გ) კრედიტორები, რომლებიც ამავე დროს მოვალის კონკურენტები არიან და მათთან დაკავშირებული პირები.“⁸⁴

5.1.6. კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარე

კრედიტორთა კომიტეტს უნდა ჰყავდეს თავმჯდომარე, რათა სხდომები წარმართოს. ამისათვის, სამივე წევრმა უმრავლესობით უნდა აირჩიოს ერთი თავმჯდომარედ. (76.8) თავმჯდომარის არჩევა მნიშვნელოვანია, რადგანაც კომიტეტი გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით. იმის გათვალისწინებით, რომ კომიტეტის სხდომაზე 2 წევრის დასწრება გადაწყვეტილებას უფლებას უნარიანს ხდის და მათ ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება არ აქვთ, შესაძლოა მოხდეს ხმათა თანაბარი გაყოფა. ასეთ შემთხვევაში კი გამამწყვეტია კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარის ხმა. (76.9) კრედიტორთა კომიტეტს ხმის მიცემის უფლება ექნება და

⁸⁴ კანონპროექტის მ.76.6

გადაწყვეტილება უნარიანი იქნება თუ მისი სამი წევრიდან ორი წევრი დაესწრება სხდომას. (76.7)

5.1.7. კრედიტორთა კომიტეტის უფლებამოსილებები

კანონპროექტი ასევე გვთავაზობს, კრედიტორთა კომიტეტის უფლებამოსილებებს, რომელთა თანახმადაც მას შეუძლია რეაბილიტაციის მმართველსა და მართვაში მყოფ მოვალეს მოსთხოვოს ინფორმაციის წარდგენა, ხოლო რეაბილიტაციის ზედამხედველს - მისი ფუნქციების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. მას ასევე შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მოვალის მიმდინარე საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, გაეცნოს ფულადი სახსრების მიმოქცევის დამადასტურებელ დოკუმენტებს. კრედიტორთა კომიტეტი უფლებამოსილია სამივეს მოსთხოვოს კომიტეტის სხდომაზე დასწრება. რომელზეც მოსაწვევი გაგზავნილ უნდა იქნას სხდომის ჩატარებამდე მაქსიმუმ 7 დღის განმავლობაში. კომიტეტის უფლებამოსილებებს განეკუთვნება რეაბილიტაციის გეგმის მომზადებაში ან მასში ცვლილებების შეტანის პროექტში მონაწილეობის მიღება. რეკომენდაციების მომზადება იმ საკითგებზე, რომლებიც კრედიტორთა დღის წესრიგითაა განსაზღვრული. ასევე, შეუძლია მიმართლოს სასამართლოს შუამდგომლობით რეაბილიტაციის მმართველის გათავისუფლებისა და ახალი მმართველის დანიშვნის თაობაზე.⁸⁵

⁸⁵ კანონპროექტი მ.76.10

5.1.8. კრედიტორთა კომიტეტის ვალდებულებები

რაც შეეხება კრედიტორთა კრების ვალდებულებებს შემდეგი სახისაა:

- აქტიური თანამშრომლობა რეაბილიტაციის ზედამხედველთან/მართვაში დარჩენილ მოვალესთან ან რეაბილიტაციის მმართველთან რეაბილიტაციის გეგმის შემუშავების მიზნით;
- სხვა კრედიტორებისათვის კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- სხვა კრედიტორებთან ცალკეული კონსულტაციების გავლა და მოსაზრებებისა და შენიშვნების მიღება.⁸⁶

5.1.9. კრედიტორთა კომიტეტის ანაზღაურება და ხარჯები

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს კრედიტორთა კომიტეტის ანაზღაურებას, რომელსაც წყვეტს სასამართლო 5 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კრედიტორთა კრების მიერ კრედიტორთა კომიტეტის არჩევა მოხდება. ანაზღაურება უნდა მოხდეს კრედიტორთა სხდომებზე დახარჯული დროის მიხედვით. ანაზღაურება, რომელსაც კრედიტორთა კომიტეტის წევრი მიიღებს, არ უნდა აღემატებოდეს რეაბილიტაციის მმართველისათვის გათვალისწინებული ანაზღაურების 20%-ს. განსაკუთრებული შემთხვევის არსებობისას კრედიტორთა კომიტეტის წევრთა ანაზღაურების რაოდენობის გაზრდის უფლებამოსილება გააჩნია სასამართლოს.⁸⁷ ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კრედიტორთა კომიტეტის ანაზღაურებასთან, შეკრებასთან და

⁸⁶ კანონპროექტი მ.76.12

⁸⁷ კანონპროექტი მ.76.13

ფუნქციონირებასთან უნდა ანაზღაურდეს გადახდისუნარობის მასიდან. ⁸⁸ კრედიტორთა კომიტეტს გააჩნია ვალდებულება სასამართლოსთან შეთანხმოს ის მოსალოდნელი ხარჯები, რაც დაკავშირებული იქნება კომიტეტის ფუნქციონირებასთან.⁸⁹

5.1.10.კრედიტორთა კომიტეტის წევრის გამოწვევა

კანონპროექტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ კრედიტორთა კომიტეტის წევრი მოიქცა არაკეთილსინდისიერად და დაუდევრად, გამოავლენს არაკომპეტენტურობასა და შესაბამისი უნარების არქონას, არაეფექტიანობასა და უნდობლობას, თუ ადგილი ექნება ინტერესთა კონფლიქტს და 77-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევას შესაძლოა გამოწვეულ იქნას კრედიტორთა კომიტეტიდან. ასევე, თუ დარღვეული იქნა მისი არჩევის წესი, რომელიც ამ მუხლის მე-6 ნაწილით არის განსაზღვრული. კრედიტორთა კომიტეტის წევრის გამოწვევის საკითხის დაყენება შეუძლია სასამართლოს თავისი ინიციატივით და ნებისმიერ პირს, რომელსაც კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს. იმისათვის, რომ წევრი გამოწვეულად ჩაითვალოს საჭიროა იმ კრედიტორთა ნახევარზე მეტის თანხმობა, რომლებმაც იგი აირჩეს. აღნიშნული საკითხის განხილვა შესაძლებელია მოხდეს კრედიტორთა ნებისმიერ კრებაზე ან სასამართლოსათვის მიმართვის გზით, არაუმეტეს 15 დღისა.⁹⁰ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორთა კრების მიერ არ მოხდება კრედიტორთა კომიტეტის წევრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, სასამართლო იქნება უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება კრედიტორთა კომიტეტის წევრის გამოწვევის შესახებ.

⁸⁸ კანონპროექტი მ.76.14

⁸⁹ კანონპროექტი მ.76.15

⁹⁰ კანონპროექტი მ.76.16

თუკი, სასამართლო გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას ის ვალდებული იქნება ახალი წევრის არჩევის მიზნით მოიწვიოს კრება 15 დღის ვადაში.⁹¹ გამომდინარე იქედან, რომ კანონპროექტით არ დგინდება, თუ აღნიშნული ვადის ათვლდა რა პერიოდიდან იწყება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში იგულისხმება ის დრო, როდესაც სასამართლოსათვის მე-16 ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადებებით გათვალისწინებული გარეობების შესახებ გახდა ცნობილი, რომელიც დასაწყისშია განხილული და კრედიტორთა კომიტეტის წევრის გამოწვევის საფუძვლებს გულისხმობს.

5.2. კრედიტორთა კომიტეტის წევრთა პასუხისმგებლობა

კანონპროექტი ითვალისწინებს კრედიტორთა კომიტეტის წევრთა პასუხისმგებლობას. აღნიშნული კი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ მოქმედი კანონით არ განისაზღვრება. გამომდინარე იქედან, რომ კრედიტორთა კომიტეტს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აკისრია და მის მიერ განხორციელებული საქმიანობა ანაზღაურებადია, რომელიც გადახდისუუნარობის მასას აწვება ხარჯად აუცილებელია პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრა.

კანონპროექტის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კრედიტორთა კომიტეტის წევრები უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდნენ კეთილსინდისიერად. გადაწყვეტილებები, რომლებსაც რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით მიიღებენ და რჩევები, რომლებსაც გასცემენ, გამსჭვალული უნდა იყოს იმ რწმენით, რომ ისინი რეაბილიტაციის გეგმის კრედიტორთა ინტერესების დაცვით ახორციელებენ. კრედიტორთა კომიტეტის წევრები პასუხს აგებენ, თუ მათი ქმედებები იმ განზრახვით იყო

⁹¹ კანონპროექტი მ. 76.17

განხორციელებული, რომ მოვალის ან კრედიტორებისათვის მიეყენებინათ ზიანი. ასევე, თუ მოქმედებდნენ პირადი ინტერესებით და კონფიდენციალური ინფორმაცია პირადი მიზნების მისაღწევად გამოიყენეს.⁹² იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორთა კომიტეტის წევრი არ შეასრულებს ვალდებულებას ინფორმაციის გაუმჯობესების შესახებ, რეაბილიტაციის ზედამხედველის/მმართველის შესახებ მისთვის ცნობილ კონფიდენციალურ ინფორმაციას გამოიყენებს საკუთარი ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებისთვის, კრედიტორებსა და მოვალეს შეეძლება კრედიტორთა კომიტეტის წევრს მოთხოვონ ზიანის ანაზღაურება.⁹³ ვფიქრობ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა ინფორმაციის გაუმჯობესებისას ვერ იქნება შესაბამისად კომპენსირებული, თუკი აღნიშნული ინსტიტუტით საკითხის დარეგულირებისას ზედამხედველის/მმართველის ინტერესის დარღვევა მაქსიმალურად არ ანაზღაურდება. ასეთ შემთხვევაში კრედიტორთა კომიტეტის წევრის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ინტერესი მეტად დაითრგუნება.

⁹² კანონპროექტი მ.77.3

⁹³ კანონპროექტი მ.77.4

დასკვნა

ნაშრომში განხილულ იქნა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტი მოქმედ „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონთან მიმართებაში. გარკვეულ შემთხვევებში, ასევე, განხილულ იქნა „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ 1996 წლის კანონთან მიმართება. მუშაობისას გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელთა არსებობა ან არარსებობა „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მოქმედი კანონით მოვალის რეაბილიტაციის პროცესისათვის პრობლემას წარმოადგენდა. შესაბამისად, ვიღებდით იმას, რომ რეაბილიტაციის პროცესი ხშირად არ ხორციელდებოდა და შედეგად დგებოდა მოვალის გაკოტრება. კანონპროექტის განხილვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სიახლეები, რომლებსაც ის გვთავაზობს დადებითად აისახება მოვალის რეაბილიტაციის პროცესზე. მართებული იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ კანონპროექტის კანონად ქცევა გაამართლებს იმ მიზნებსა და მოლოდინებს, რამაც მისი არსებობა გამოიწვია.

ანალიზის შედეგად შეიძლება დადგინდეს შემდეგი:

- ⇒ მიიჩნევა, რომ მოქმედი კანონი, მოვალის გაკოტრებაზე არის ორიენტირებული. ეს კი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახება, კანონპროექტის მიზანს კი წარმოადგენს მოვალის რეაბილიტაციის მიღწევა, შესაბამისად, მისი კანონად ქცევა ეკონომიკის განვითარებაზე დადებითად აისახება.
- ⇒ მოვალის გაკოტრებაზე ორიენტირებული კანონი, გარდა ზემოთ ნათქვამისა, იწვევს შრომის ბაზრის დასუსტებას, რაც, ეკონომიკის განუვითარებლობასთან ერთად, გვამღევეს დაუსაქმებელ ადამიანთა მაღალ რიცხვს. კანონპროექტი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობა მაღალი არ იყოს.

⇒ კანონპროექტმა უარი განაცხადა მომრიგებელი საბჭოს არსებობაზე რეაბილიტაციის რეჟიმში, რაც მისი არაეფექტიანობით არის გამოწვეული. მომრიგებელი საბჭოს გაუქმებით გაიზარდა სასამართლოს როლი. ვფიქრობ, ეს ფაქტი იმ უნდობლობას აღმოფხვრის, რაც მომრიგებელი საბჭოს მიმართ არსებობდა.

⇒ მოქმედი კანონი ერთმანეთსაგან ანსხვავებს კრედიტორებს და იგი უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული. ასევე, რეაბილიტაციის გეგმის მოწონება კანონით მინდობილი აქვთ მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორებს. კანონპროექტით კი, ყველა კრედიტორი თავიანთი იმ მოთხოვნის ღირებულების პროპორციულად იღებენ რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მოწონებაში მონაწილეობას, რაც კრედიტორთა რეესტრში აქვთ დაფიქსირებული. ვფიქრობ, კანონპროექტის ეს ცვლილება თანასწორობის უდიდესი მაგალითია.

⇒ არ შეიძლება აღნიშვნის გარეშე დარჩეს კანონპროექტის მნიშვნელოვანი მიღწევა - ალტერნატიული პროცედურის გამოყენება. მისი დანერგვით რეაბილიტაციის პროცესი უფრო გამარტივდება და ის კრედიტორებს ხელს შეუწყობს პოზიციის დაფიქსირებაში. ალტერნატიული პროცედურის დანერგვა განსაკუთრებით კომფორტული იქნება მაშინ, თუ პროცესი კრედიტორთა სიმრავლით გამოირჩევა ეს კი, არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა.

⇒ კანონპროექტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს გვთავაზობს და ეს არის დირექტორის რეაბილიტაციის პროცესში დატოვება. მოქმედი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების“ 2007 წლის კანონი არ

ითვალისწინებს დირექტორის რეაბილიტაციის რეჟიმში დარჩენას, რაც შეიძლება მის ერთ-ერთ ნაკლოვანებად მივიჩნიოთ. ეს კანონპროექტით აღმოიფხვრება და რეაბილიტაციის გეგმის შედგენაში მონაწილეობით დირექტორს ექნება შესაძლებლობა იყოს დასაქმებული როგორც რეაბილიტაციის პროცესის დროს, ასევე, რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის შემთხვევაში შემდგომაც.

⇒ კანონპროექტის ყველაზე მთავარ სიახლეს წარმოადგენს მოვალის მართვაში დატოვება. ვფიქრობ, მოვალის რეაბილიტაციის რეჟიმში დარჩენა საუკეთესოდ საშუალებაა, რათა მისი ინტერესები მაქსიმალურად იქნეს დაცული.

⇒ მოვალის მართვაში დარჩენამ გამოიწვია ახალი საქმიანობის სფეროს შექმნა, რასაც რეაბილიტაციის ზედამხედველი ახორციელებს. იმ შემთხვევაში, თუ მოვალი იქნება რეაბილიტაციის რეჟიმში, აუცილებლად იქნება რეაბილიტაციის ზედამხედველი. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, საქმიანობა, რომელსაც რეაბილიტაციის ზედამხედველი ახორციელებს მოვალის საქმიანობის ზედამხედველობასა და რეაბილიტაციის გეგმის კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფას გულისხმობს. ვფიქრობ, რეაბილიტაციის ზედამხედველის არსებობა, რეაბილიტაციის რეჟიმში დარჩენილ მოვალეს დიდ სამსახურს გაუწევს, რაც მთლიანად რეაბილიტაციის რეჟიმზეც პოვნებს ასახვას.

⇒ რაც შეეხება რეაბილიტაციის მმართველს, ის სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა, კანონპროექტი განსხვავებულად არეგულირებს იმ უფლება-მოვალეობებს რაც მას გააჩნია. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიხედვით რეაბილიტაციის პროცესში კრედიტორთა

კრება განსაზღვრავს თუ რა უფლება-მოვალეობები მიენიჭოს რეაბილიტაციის მმართველს. კანონპროექტი ყოველივეს იმპერატიულად განსაზღვრავს და მას, იგივე უფლება-მოვალეობები გააჩნია რეაბილიტაციის რეჟიმში, რაც დირექტორს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით. ვფიქრობ, დირექტორის უფლებამოსილებების მინიჭება რეაბილიტაციის მმართველს ხელს შეუწყობს საქმიანობის უკეთ განახორციელებაში.

⇒ ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს კრედიტორთა კომიტეტი, რომლის გარშემო უამრავი დაურეგულირებელი საკითხი არსებობს. მაგ: რა ფუნქციითა და მიზნით აირჩევა, რამდენი წევრისგან უნდა შედგებოდეს და სხვ. კანონპროექტმა ამ და სხვა მრავალი პრობლემის გადაჭრა და კითხვებზე პასუხის გაცემა შეძლო.

დასკვნაში აღნიშნული საკითხების გარდა, ნაშრომში განხილულია უამრავი სიახლე, რომელთა კანონპროექტში დანერგვა დადებითად აისახება რეაბილიტაციის პროცესზე. ვფიქრობ, კანონპროექტი უზრუნველყოფს რეაბილიტაციის ნორმების სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებასა და კანონის შეცდომების აღმოფხვრას, არსებულ კანონთან შედარებით მეტად დაუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე, გაამარტივებს რეაბილიტაციის პროცესს, რაც უზრუნველყოფს მის პრაქტიკულობას. გარდა ამისა, კანონპროექტი შესაძლებლობას იძლევა მხარეთა ინტერესების თანაბრად დაცვას. ჩემი აზრით, კანონპროექტის კანონად ქცევა არსებული რეალობის შეცვლის საუკეთესო საშუალება იქნება და გაამართლებს იმ მოლოდინს, რაც მის მიმართ არსებობს. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომი ეხება მნიშვნელოვან თემას, რომელიც დაინტერესებული პირებისათვის აქტუალური იქნება.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ლაზარიშვილი.ლ,ოფიციალური კონტრაქტი კომპანიის დირექტორთან. თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები,თბილისი:2009
2. მიგრაული.რ,ქართული კერძო სამართლის საკითხები,თბილისი:2016
3. შნიტგერი.ჰ, მიგრაული.რ,გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან,თბილისი:2011
4. ჭანტურია.ლ, ნინიძე. თ, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, 2002

ინტერვიუ

5. მიგრაული.რ, ინტერვიუ, „საქართველოში ფორმალური კანონშემოქმედებითი საქმიანობა მიმდინარეობს“. “გაზეთი „ქრონიკა+“ 2016 წ

6. მიგრიაული.რ, ინტერვიუ, „მეწარმისათვის კაბალური კანონი და გართულებული პროცედურები“. ჟურნალი „ბიზნეს კანონმდებლობა“. 2009 წ.

სტატია

7. რ.მიგრიაული, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება“, ჟურნალი „ნოტარიატი,სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა“ N1, 2003 წ.

ნორმატიული მასალა

8. “საქართველოს კონსტიტუცია“
9. საქართველოს კანონი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
10. საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმება“
11. საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996 წ
12. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
13. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

14. რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი

ელექტრონული მასალა

15. საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის. თბილისი. 2019წ
<https://mof.ge/526>

16. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-damumushevroba>

17. მსოფლიო ბანკის რეიტინგი <https://mof.ge/News/8726>

18. https://www.ebrd.com/downloads/country/strategy/georgia_translation.pdf

სასამართლოს გადაწყვეტილება

19. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. Nას-1307-12-45-204.